წელიწადი პირველი ფასი 5 კაპ. პარასკევი, 4 ქრისტეშობისთვე 1915 წ. № 159

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივ [illegible] პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მანეთი.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

საქართველოს კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ქრისტეშობისთვიდან წლის დამლევამდე ღირს 80 კაპ.

მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“ Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვათ.

ლუცია იოსების ასული, ვასილ პეტრეს ძე კოკოჩაშვილები, მათი შვილნი: შალვა, გიორგი, არჩილი და რძალი ნინო დამწუხრებულის გულით აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელ ქალიშვილის პირველთა და დის უკანასკნელთა

თინასი

2 ქრისტეშობისთვეს აბასთუმანში. ცხედარს წაასვენებენ ქუთაისში. დაკრძალვის დღე იქმნება განსაკუთრებით გამოცხადებული.

„წყნორის წყლის“ სადგურთან, სულ რამდენსამე ნაბიჯზე, თვით სადგურიდან, გაიხსნა

სასტუმრო „ჯუგაანი“

სასტუმრო მოწყობილია სუფთად და ევროპიულად ნომრებით და ბუფეტით

15—12 პატივისცემით ნიკო (კოლა) ზურაბის-ძე ზედელაშვილი

ახლად გახსნილს ინტელიგენტურს სასადილო

„პეტროგრად“-ში

კრუზენშტეინის ქუჩაზე, „Тифл. Листок“-ის რედაქციის პირდაპირ

მზადდება ყოველნაირი

ევროპიული და აზიური საჭმელები

ძრიელ ხელმისაწდომ ფასებში: 2 თავი 50 კ. ხოლო სამი თავი 65 კაპ. თვიურად ფასდაკლებით, ე. ი. 2 თავი—13 მან., 3 თავი—16 მან.

შეიძლება ვახშმის შეკვეთა.

პატივისცემით ს. კახეთელიძე და გ. არჩვაძე.

25—23

გადაწერას საწერ მანქანის საშუალებით და საწერ მანქანაზე მუშაობის სწავლებას ხელმისაწდომ ფასებში ჰკისრულობს

ი. თ. გვათუას კანტორა

ვერის დაღმართი № 1

ტელეფონი 17—05

ქ. გორში

ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულელებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

კბილის ექიმმა

მამულაიშვილმა

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

თბილისის უმაღლეს ქალთა კურსების მსმენელი ქალი

ეძებს გაკვეთილს,

ან ბინას, სადაც საჭიროა მასწავლებელი ქალი. მომზადება ყველა საგნებში (გარდა ენებისა) ყოველი კლასისათვის. უმთავრესად კი ქართულ ენაში. **მისამართი** იკითხეთ „საქართველოს“ რედაქციაში.

(15—11—6)

საჯარო ვაჭრობა

6 დეკემბერს ამა მიმდინარე წლისა, დილის 12 საათზე დ. სამტრედიაში სასოფ.-სამმართველოს დარბაზში დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

იჯარით გაიცემა 1916 წლის პირველ იანვრიდან 1917 წლის პირველ იანვრამდე შემდეგი შემოსავლიანი სტატიები:

1. საიარმარკო ბუტკები
2. საწვრილმანო საიარმარკო მოედანი
3. მწვანე ბაზარი და სასწორი (ყაფანი)
4. საყასბო და
5. პირუტყვების გასასყიდი ქართა.

მსურველთ ვაჭრობის პირობების გაგება შეუძლიათ ყოველ დღე, სამტრედიის სასოფლო კანცელარიაში.

სამტრედიის საზოგადოების ვექილი **პ. პ. გელეიშვილი.**

(3—12—2)

შემთხვევით იყიდება

მეტად იაფად „სტანოკი“

(კორექტურის ამოსაღები, ლენტების, აფიშების, ბლანკების და სხვათა საბეჭდი).

მისამართი: მამადავითის ქუჩა № 14 არშაკა მინასოვს.

(3—3)

ომის ამბები

ომის დეპეშები

3 ქრისტეშობისთვე.

უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა

პეტროგრადი. ოფიციალი ცნობა. დასავლეთის ასპარეზი. იკსკიულთან მტრის მფრინავმა ყუმბარები ჩამოჰყარა. იაკობშტატის მიდამოებში ზარბაზნებით ბრძოლა გაძლიერდა. რიგის მიდამოებში ბევრ ადგილას რუსებმა გაჰფანტეს გერმანელების მუშები, რომლებიც სანგრებს ამაგრებდნენ. დნესტრზე, უსეჩკოს მიდამოში, ზელაშჩიკოვის ჩრდილოეთით, რუსის მზვერავი ცხენოსანი რაზმი მოპირდაპირის მზვერავებს წააწყდა. მტრის მზვერავები რუსული შინელებით და ფაფახებით იყვნენ. რუსების შეკითხვაზე: ვინა ხართო მტერმა სროლა ასტეხა. ბრძოლის დროს ზოგი დაჰხოცეს, ზოგი გაჰფანტეს. ავსტრიელი ჯარისკაცები აღმოჩნდნენ რუსულ შინელებით გამოწყობილნი.

კავკასიის ასპარეზი. ქამადანის გზაზე რუსის ჯარი გერმანელ-ოსმალეთის რაზმს სდევნის. ქამადანიდან რუსის ჯარში მივიდა დეპუტაცია მკვიდრთა და გავლენიან ხანებისა. ითხოვეს, დაგვიფარეთ მეამბოხეთაგანაო.

—

საფრანგეთის ასპარეზი.

პარიზი. საღამოს ოფიციალი ცნობა. ვილლერში, რუას მიდამოებში, ფრანგებმა მოპირდაპირის რაზმები გაჰფანტეს. ტისკურთან მარჯვედ ესროდნენ მტრის მებარგულეთ. შამპანში, მენილის ბორცვის აღმოსავლეთით, ფრანგები მარჯვედ ესროდნენ მაყა-მარს, სადაც მტერი სანგრებს ამაგრებდა. აქ აფეთქებით ცეცხლი გაჩნდა. იოკურის სამხრეთით, ლიმეში, ფრანგები მარჯვეთ უშენდნენ ზარბაზნებს და ფარული ყაზარმები დააზიანეს.

ვოგეზებში, მანდესაპტში გერმანელებმა მედგარი სროლა აუტეხეს ფრანგების ლაფონტპოლის სანგრებს. ფრანგებიც პასუხს აძლევდნენ და ლანტრეში სამხედრო მასალის საწყობი აუფეთქეს. დილით ფრანგების თერთმეტმა ჰაეროპლანმა აქ 155 ყუმბარა ჩამოაგდო, ამავე დროს მიულჰეიმის სადგურს 40 ყუმბარა ესროლეს. მეორე მფრინავთა ესკადრამ 22 ჰაეროპლანით ყუმბარები დაუშინა მტრის ბანაკს ორიკურში, ხოლო მესამე ესკადრამ 12 ჰაეროპლანით მარჯვეთ დააყარა ყუმბარები გერმანელების მოსაგერიებელ სიმაგრეებს შამპანის სამხრეთით შატო-სანენისა და შატო-მიულკურის მიდამოებში. ფრანგების ჰაეროპლანებმა მოპირდაპირის ხუთ მფრინავს გამოეკიდა და განდევნა.

დარდანელში.

პარიზი. 2„ გიორგობისთვის ბრძოლის დროს, როგორც აღმოჩნდა, მოკავშირეებს დიდი ზიანი მიუყენებიათ ოსმალებისათვის. 30 გიორგობისთვეს ოსმალეთის ზარბაზნები მედგრად აწარმოებდნენ სროლას როგორც ევროპის ისე აზიის სანაპიროებიდან. მოკავშირენიც უპასუხებდნენ.

ბელგეთის ასპარეზი

ჰავრი. ბელგეთის ცნობა. დიუქსმიუდეს ჩრდილოეთით ბელგიელებმა დაანგრიერს მოპირდაპირის სანგრების, გამაერთიანებელი თხრილები და ჩააჩუმეს მათი ზარბაზნები, რომელიც ლიუპემის მხრიდან ისროდა. ლეპანის მახლობლად გერმანელთა საფრენი მოკავშირეებმა ძირს დასცეს. იგი, ცეცხლმოდებული, ზღვაში ჩავარდა.

ბალკანეთში.

ჰავრი. ბელგეთის ცნობა. ბულგარელების იერიში ჩვენმა მოწინავე რაზმებმა ადვილად მოიგერიეს. მთელი ჩვენი ჯარი ეხლა საბერძნეთის მიჯნებს იქითაა, სადაც არც ერთს ბულგარელ ჯარისკაცს ჯერ-ჯერობით ფეხი არ შეუდგამს.

ლონდონი. „ტაიმსს“ სოლუნიდან ატყობინებენ; სოფიაში მყოფმა გერმანეთის დესპანმა განაცხადა: მონასტირი საბოლოოდ ბულგარეთის ხელში გადავა და იქ მხოლოდ ბულაგართა ადმინისტრაცია იქნებაო.

სოლუნი. ბულგარეთის ჯარს საბერძნეთის ნეიტრალობა არ დაურღვევია და ჯერ მის მიწა-წყალზე ფეხი არ შეუდგამს. საბერძნეთ-სერბეთის საზღვრის გასწვრივ მოკავშირეთა ჯარი სდგას, თუ ბულგარელები აქეთ შემოუტევენ, ეს ჯარი შეებრძოლება, რომ სალონიკის გამაგრებულ ბანაკისაკენ მიმავალ რაზმებს უკან დახევა გაუადვილოს. გუშინ ინგლისის ჯარის ნაპირზე გადაყვანა გრძელდებოდა. სოლუნის მიდამოები მოკავშირეთა ჯარით არის სავსე. გაცხარებული მუშაობაა ამ ადგილების გასამაგრებლად.

სოლუნი. ხალკიდიკის ნახევარ კუნძულზე მყოფს საბერძნეთის მერვე დევიზიას ებრძანა და ლანგადიში მყოფ მეხუთე დივიზიას ნევრიტისა და სერასისა, ნაუსტრა და ვოდენისაკენ გაემართნენ, რათა მოკავშირეთა ჯარს მეტი თავისუფლება მისცენ სამოქმედოთ.

ბუქარესტი. სტამბოლიდან იტყობინებიან: ოსმალეთის ჯარი თრაქიაში რჩება, გერმანეთ-ბულგარეთის საზღვარზე, რადგანაც ბულგარეთს ჯერ დასტური არ მიუცია ბულგარეთის მიწა-წყალზე გადასვლისა. ამბობენ, ბულგარეთი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში შეუშვებს ოსმალეთის ჯარს, რადგანაც შიშობს, რომ ბულგარეთზე ჯარის გავლას შესაძლებელია რაიმე უსიამოვნო შედეგი მოჰყვესო.

იტალეთის ასპარეზი.

რომი. მთავარ ბანაკის ცნობა. გუშინ მთელ დღეს მოპირდაპირე მედგრად უშენდა მდ. იზონცოს დასწვრივ მდებარე სანგრებს. იტალიელებიც პასუხს აძლევდნენ. თვალსაჩინო არაფერი მომხდარა.

ბულგარეთი.

ბუქარესტი. სოფიიდან იტყობინებიან: საერო კრება დაიწყება 2-ს და დასრულდება 9 ქრისტესშობისთვეს. კრება განიხილავს საგანგებო სესხის საკითხს, რომელითაც 150 მილიონი ფრანკი უნდა ისესხონ სამხედრო საქმისათვის. ოპოზიციამ გადასწყვიტა, მთავრობას მხარი დაუჭიროს და სესხის აღება დაადასტუროს. რადოსლავოვი ამ კრებას წარუდგენს ვრცელ მოხსენებას საშინაო და საგარეო პოლიტიკის თაობაზე.

ინგლისში

ლონდონი. საზოგადოებათა პალატაში ტენანტმა განაცხადა: გენერალი სმიუტ-დორიენი იქნება უფროსად აღმოსავლეთ აფრიკაში მყოფ ინგლისის ჯარისა. ტენატის სიტყვით, ინგლისში 21,203 ტყვე იმყოფება. მთავრობა თხოულობს დამატებითი თანხის გადადებას ახალ ერთი მილიონი ჯარის კაცისათვის. ამგვარად მთელი ჯარი ინგლისისა 4 მილიონამდე იქნება. საზოგადოებათა პალატის სხდომები 1916 წლის იანვრამდე გაგძელდება.

წამლის უშოვნელობა

სტოკჰოლმი. რადგანაც გერმანეთიდან საათფთიაქო საქონელი და წამლები ველარ მოდის, საგანგებო კომისია დაარსდა, რომელიც უცხოეთში შეიძენს საჭირო მასალებს, ფასებსაც მოაწესრიგებს და მეაფთიაქეთა შორისაც გაანაწილებს.

ჰაეროპლანისა და ჰიდროპლანის ბრძოლა

ლონდონი. საადმირალო იტყობინება: ინგლისის ჰაეროპლანს თავგანწირული ბრძოლა ჰქონდა გერმანეთის ჰიდროპლანთან, რომელიც აფეთქდა წყალზე დახეთქების დროს. იჰდროპლანი და მფრინავი დაიღუპა. ინგლისის ჰაეროპლანი ზღვაში ჩავარდა ბელგეთის სანაპიროებთან. ზედ მყოფი ორი აფიცერი გადაარჩინეს.

ამერიკა.

ვაშინგტონი. შეერთებულ-შტატების მთავრობამ საფრანგეთის მთავრობას ნოტა გაუგზავნა: „უკანონოდ მიმაჩნია საფრანგეთის კრეისერის მიერ, ამერიკის გემზე მყოფ გერმანელების და ავსტრიელების დატყვევებაო. ეს გემი პორტორიკოში მიდენილა“. შეერთებულ შტატების მთავრობა მოითხოვს დატყვევებულნი გაანთავისუფლონ.

ქურნალ-გაზეთებიდან

ბალკანეთი

დესანტის მდგომარეობა

ბალკანეთის ოპერაცია, გერმანეთის გამარჯვებით დასრულდა. სერბეთის ჯარის განადგურების შემდეგ, ახლა მოკავშირეთა ექსპედიციის ბედ-იღბალი სწყდება. მოკავშირენი ვერ უძლებენ ბულგართა იერიშებს და სალონიკიდან საჩქაროდ იხევენ. მთავარი აზრი მოკავშირეთა ჯარების სოლუნში გადასხმისა სერბეთის შველა და მასთან შეერთება იყო. ახლა როდესაც ეს მათ ვერ მოახერხეს, ცხადია თავისით იბადება შემდეგი საკითხი. საჭიროა ამ ექსპედიციის გაგრძელება, თუ სჯობს შესწყდეს და ჯარი მთავარ ფრონტზედ უკანვე გაბრუნდეს. დღევანდელს მდგომარეობას უფრო ართულებს საბერძნეთის გამოურკვეველი პოლიტიკა, რომლის ტერიტორიაზედ დაბანაკებულია მოკავშირეთა ჯარი. რას იზამს, ვის მიემხრობა საბერძნეთი არავინ იცის. ცხადია რომ მისი სიმპატია გერმანეთისკენაა. როგორც მეფე კონსტარტინემ განაცხადა, საბერძნეთი ყოველ ღონისძიებას იხმარებს, რომ თავისი ტერიტორიის ნაწილი ბრძოლის ველად არ გადაიქცეს. მანვე შეუთვალა ინგ. საფ. რომ საბერძნეთი არ დაეცემა ზურგიდან იმ შემთხვევაში, თუ მოკავშირენი დამთავრებულად ჩასთვლიან ოპერაციას, თუ მათ საბერძნეთის ტერიტორიაზე მოუხდება გადმოსვლაო. მეფე შველას დაჰპირდა მოკავშირეებს მაშინ, როდესაც მოკავშირეებს გემებზედ გადასმა მოუხდებათო.

ასეთი მწვავე მდგომარეობა ბალკანეთში ინგლისის და საფრანგეთს საზოგადოებას ძალიან აღელვებს და აფიქრიანებს. ყველანი ერთმანეთ მოითხოვენ ამ ოპერაციის შეწყვეტას და ჯარების დაბრუნებას, კლემანსოს აზრით მთელი ბალკანეთის ექსპედიცია მოუფიქრებელი ავანტიურა იყო და სხვა არაფერი. ამავე საკითხის გამოსარკვევლათ ამ რამდენიმე წლის წინეთ ქ. კალეში მომხდარა მოკავშირეთა სამხედრო თათბირი, სადაც ლორდ კიტჩინერს, რომელიც საგანგებოთ გაგზავნილი იყო გალიპოლში და ბალკანეთში ადგილობრივ მდგომარეობის გამოსარკვევლათ, დაწვრილებით მოხსენება წარუდგენია. რა გადასწყვიტეს მოკავშირეთა სამხედრო პირებმა და აწ რა გზას დაადგებიან, იმედია ახლო მომავალში შევიტყობთ.

რუმინეთის ნეიტრალობა

რუმინეთის მთავრობამ განუცხადა მოკავშირეებს: ახლანდელ მდგომარეობის მიხედვით რუმინეთი ნეიტრალს დაიცავს და გაზაფხულამდის ჩვენი გამოსვლის იმედი არავის უნდა ჰქონდესო.

რა იხსნის სერბეთს?

სერბეთის ელჩის სპოლაიკოვიჩის აზრით სერბეთის შველა ახლაც შესაძლებელია, თუ მოკავშირენი დააჩქარებენ ჯარების გადმოსხმას, და მოახერხებენ ჩვენებთან შეერთებას, რომელნიც ახლა შეხიზნულები არიან ალბანეთში და მთაშავეთში. 150.000 კაცი საკმარისი არ არის. საჭიროა, იტალიამაც ამოიღოს ხმა. დღევანდლამდის არაფერი ვიცით, გადასხა მან ჯარი ალბანეთში, თუ არა. თუმცა რომში ეს საკითხი ჩვენს სასარგებლოდ გადასწყდაო.

გერმანეთის გეგმა

ინგლისის გაზეთს შეუკრებია გერმანეთის აფიცრებიდან საინტერესო ცნობები იმის შესახებ, თუ რას აპირებს მომავალში გერმანეთი.

კარტოფილის მოსავალმა იმდენად გამოაკეთა პურის საკითხი, ამბობენ აფიცრები, რომ სრულიად უზრუნველიჰყო მცხოვრებნი ერთი წლის განმავლობაში. რუსეთი დაბოლოს იძულებული იქნება ზავი დასდოს გერმანეთთან. თუ მაინც და მაინც რუსეთის ჯარი განადგურებას გადარჩა მაშინ. გერმანეთის წინსვლა შეჩერებული იქნება რიგა—მინსკ—პინსკ—სტირ—კოვნოს ხაზზედ. ჩვენ გვინდა, რუსეთის ჯარი გავყოთ ორ ნაწილად, საჭიროა ჩვენთვის, დრო მოვიგოთ, გავამაგროთ კოვნო, გროდნო, ბრესტი, მდინარე ბუგი, ერთი სიტყვით გავიმაგროთ ზურგი და შემდეგ დავიწყობთ შეტევას ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ. ამასვე მოჰყვება საზღვაო ოპერაციაც ბალტიის ზღვაში. ჩვენთან ერთად გამოვა და შემოუტევს რუსეთს შვეციაც, რომელსაც ფინლიანდიას ვუთმობთ.

ახლა ყოველისფერს ამ მთავარ ოპერაციისათვის ვამზადებთ, ჯერ-ჯერობით თავისუფალ ჯარს დასავლეთისაკენ ვაგზავნით, რადგან გვსურს რაც კი შეიძლება შევასუსტოთ საფრანგეთის ჯარი, მხოლოდ ამის შემდეგ მთელი ჩვენი სიძლიერით რუსეთს შევუტევთ.

თუ რუსები თვითონ მოისურვებენ წინ წამოსვლას, მათ დახვდებათ გალიციაში საშინელი გამაგრებული ადგილები თითქმის კარპატებამდის.

ჩვენი ხალხი დარწმუნებულია, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება. მართალია თავდაპირველად ავსტრო-უნგრეთში ყოყმანობდა ხალხი, მაგრამ გალიციიდან რუსების გარეკვის შემდეგ სრული აღფრთოვანება სუფევსო.

ჯარების გადაყვანა

სარნიდან ჩამოსულები დაბეჯითებით ამბობენ, რომ იაბლონსკთან და მონევიჩთან გერმანეთის ჯარების გადაყვანა საშინელს სისწრაფით სწარმოებს. ერთად ერთი ფარსაგი გზა, რომელიც მონავეჩიდან კლევანზედ მიდის, ჯარებითაა თურმე გაჭედილი. მცოდნეთა აზრით, დღევანდელი მყუდროება ამ ხაზზე დროებითია. მოწინაალმდეგენი ელიან მხოლოდ, რომ გზები და მდინარეები გაიყინოს. მაშინ მთავარ ოპერაციებსაც დაიწყებენ.

უკანასკნელი ფოსტა

სალონიკში.

სალონიკში საალყო წესები გამოცხადდა. ავსტრო-გერმანეთის კონსულები სალონიკიდან წასასვლელად ემზადებიან.

მთაშვეთში.

მთაშავეთის ბრძოლის ხაზზე ბოლო დროს თავგანწირული პარტიზანული ბრძოლაა.

სტამბოლში.

ავსტრიის 500 ჟანდარმი სტამბოლში იგზავნება.

გერმანელები დასავლეთის ასპარეზზე.

ჰააგიდან ცნობაა: გერმანელებმა, ამ ბოლო დროს დიდძალი ჯარი გადაიყვანეს დასავლეთის ასპარეზზე. არამც თუ ახალი ჯარი, სერბეთისა და რუსეთის ასპარეზებიდანაც კი იქ გადაიყვანა. ჯარი მიჰყავს ლუქსემბურგისა, ლიეჟისა და მეცის გზით სუასონისაკენ.

ღრუბელი-ყუმბარა.

გერმანეთის ქიმიკოსებს გამოუგონიათ ახალი ეგრედ წოდებული ღრუბელი-ყუმარა, რომლის დანიშნულებაა დაფაროს და უხილავი გახადოს ცეპელინები. როდესაც ცეპელინს გასაცდელი მოელის, მაშინ ამ ყუმბარა-ღრუბელს ჩამოაგდებენ. ყუმბარა ჰაერშივე სკდება. ამ დროს საშინელის სისწრაფით გაიშლება თურმე დიდ მანძილზედ ისეთი კვიმეტი ღრუბელი, რომ ღამე ძლიერი პროჟექტორიც კი ვერაფერს გაარჩევენ და ცეპელინი უვნებლად მიეფარება.

ახალი გუბერნია.

გერმანეთს პოლონეთში ახლად დაუარსებია ვლოცლავის გუბერნია, რომელშიაც შედიან კოლოსკის, კუტნოვის, გოსტინის, ვლოცლავის და ნეშავის მაზრები. სამხედრო გუბერნატორად დაუნიშნავთ გენერალი ფონ-ლიუცოვი.

ბულგარეთში.

ბულგარეთმა ზარბაზნების საზეიმო სროლით ამცნო ვადინის მცხოვრებთ, რომ სერბეთის მაკედონია ოფიციალად ბულგარეთს შეუერთდა.

მონასტირის აღებას დიდი აღტაცება გამოუწვევია ბულგარეთში. პრესა დაბეჯითებით ამტკიცებს თავიანთ ისტორიულ უფლებებს მონასტერზედ.

კალიში.

გერმანეთს გადაუწყვეტია მთლად გადააკეთოს ქ. კალიში ახალ გეგმაზედ. „ახალი ბრესლავი“ როგორც ახლა ამ ქალაქს ეძახიან, სრულიად არ უნდა ჰგვანდეს ძველსაო.

მოკავშირენი და საბერძნეთი.

როგორც ვენიდან იტყობინებიან, მოკავშირეებს წარუდგენიათ საბერძნეთისათვის შემდეგი მოთხოვნილებანი:

1) სოლუნიდან და მის მიდამოებიდან საბერძნეთის ჯარების გაყვანა.

2) გადაეცეს ყველა გზები სოლუნის ოლქიდან მოყოლებული მონასტრამდის საექსპედიციო კორპუსის სრულ განკარგულებაში.

3) მიეცეთ უფლება მოკავშირეთ გაამაგრონ სოლუნი.

4) ჩაჰბარდეს საზღვაო პოლიციის კონტროლი ყველა ნავთსადგურებში. გაზეთი ამბობს ამ მოთხოვნილებებზეც არა თუ სკულიდისი, ვენიზელოსიც კი თავის დღეში არ დასთანხმდებაო.

— ჩინეთში გერმანელები თავიანთ მოქმედებას აძლიერებენ. ყიდულობენ იარაღს და ასაფეთქებელ მასალას. ინგლისმა ყურადღება მიაქცია, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერს გამხდარა, რადგან ეუბნებიან: ეს იარაღი რევოლიუციონერებისთვის გვინდაო.

ბრძოლის ველზე

22 გიორგობისთვეს მონასტირში შეიჭრა ბულგარეთისა და გერმანელების არმია. დამარცხებულმა სერბებმა უკანასკნელი გულის წადილიც ვერ აისრულეს, მოკავშირეთა საექსპედიციო კორპუსს ვერ შეუერთდენ და თავის საშველად ალბანეთს მიაშურეს. ალბანეთის თოვლით დაფენილ მწვერვალოებს მოედო ჯანგატეხილი, სამხედრო ღირებულება-დაკარგული, მშიერმწყურვალი ჯარი. დამარცხებულ ჯარს დაედევნა ბულგარ-გერმანელთა ჯარის პატარა ნაწილი საქმის გასათავებლად. ამგვარად სულ ერთიანად გაიშვლა გენერალ სარაილის მეთაურობით მებრძოლი ფრანგთა საექსპედიციო ჯარის მარცხენა ფრთა. და რომ თავიდან აეცილებინა საბედისწერო ხიფათი ზურგიდან მტრის მოქცევისა, გენერალი სარაილი იძულებული გახდა არაჩვეულებრივის სისწრაფით თანაც შეეკუმშა, შეემოკლებინა თავის არმიის გაშლილობა და თანაც უკან დაწეულიყო. ამავე დროს უნდა ბრძოლაც ეწარმოებინა იმ ბულგართა ჯარის წინააღმდეგ, რომელიც ფრანგების ცენტრსა და მარჯვენა წვერს აწვებოდა. ამ რთული ოპერაციის მთელი სიმძიმე უნდა მარტო სარაილს აეტანა, რადგანაც მაშველი ჯარის იმედი არსაიდან ჰქონდა. ფრანგთა ჯარის ეს რთული მდგომარეობა რომ, სავსებით გამოეყენებინა, ბულგარეთის მთავარი შტაბი დროზე შეუდგა თადარიგს; მან ერთი ორად გააძლიერა მოპირდაპირის ცენტრის წინააღმდეგ მომქმედი ჯარი. გენერალ ტოდოროვის არმიას, რომელიც სამი დივიზიისაგან, დახლოვებით 80,000 ჯარისკაცისაგან შესდგებოდა მიუმატეს ბოიაჯევას არმიიდან ორი დივიზია და დედეაგაჩიდან გადმოყვანილი ერთი დივიზიაც. ამნაირად ბულგარებმა შეადგინეს სულ 6, ექვსნახევარი დივიზია შემტევი ჯარი, რომელიც შეიცავდა დაახლოვებით ორასი ათას ჯარისკაცს. ამ ჯარმა სწრაფად მოახდინა თვისი სტრატეგიული გაშლა და მთელი ფრონტის გასწვრივ ინგლის-საფრანგეთის საექსპედიციო ჯარის წინააღმდეგ საერთო და ერთდროული შეტევა დაიწყო. ცხადია რომ გენერალი სარაილი შექმნილ არახელსაყრელ სტრატეგიულ პირობებში სამჯერ მრავალ-რიცხოვან მტრის წინაშე სერიოზულ გამკლავებას გულში ვერ გაიტარებდა, უწინარეს ყოვლისა მას თავის შველისათვის უნდა ეფიქრნა და აიყარა თავის პირველ გამაგრებულ პოზიციებიდან, ფრანგების ჯარი სწრაფ უკუ დახევას დაადგა და მტერთან მხოლოდ საარიერგარდო ბრძოლას ეწეოდა. დღეს სერბეთის ტერიტორია საექსპედიციო ჯარისაგან სრულიად თავისუფალია. გუშინდელი დეპეშის ცნობით, მოკავშირეთა ჯარი საბერძნეთის ტერიტორიაზედ და ზედ საბერძნეთ-სერბეთის საზღვრებზე დგას და უცდის თურა გადაწყვეტილებას დაადგება მოპირდაპირე. უკეთუ ბულგარეთის ჯარმა საბერძნეთში შესდია ფრანგებს და ინგლისელებს, ეჭვი არაა ესენი აქაც ისე ვერ გაუმკლანდებიან, როგორც სერბეთშიც ვერ გაუმკლავდენ ბულგარელებს.

დღეს ასეთი დილემაა მოკავშირეთა ჯარის წინაშე: ან მიიღოს უსწორო ბრძოლა უშედეგოთ შეაკვდეს მტერს და ზღვაში გადაცვინდეს, ან კიდევ დროზედ გემები მოიშველიოს და უკან წავიდეს და შეასრულოს ის, რასაც დიდი ხანია ურჩევს საფრანგეთის ცნობილი ნამინისტრალი ბ-ნი კლემანსო.

დიდი ხნის სრული უმოქმედობის შემდეგ, დაიწყო უმნიშვნელო პატარ-პატარა შეტაკება როგორც რიგა-იაკობშტატის რაიონში, ისე გალიციაშიც.

სპარსეთში, რუსეთის ჯარი ჰამადანისაკენ განაგრძობს სიარულს. ეტყობა აქ მას წინააღმდეგობას არავინ უწევს.

მეგრი.

თბილისი, 4 ქრისტეშობისთვე.

აჭარელთა სექცია. ამას წინად ჩვენს გაზეთში დასტამბული იყო ყოვლად სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდის გულმხურვალე წერილი. რომელშიაც მკაფიოდ იყო აღნიშნული აჭარელთა შვილების საშუალო სასწავლებლებში აღზრდის საჭიროება. ამ მიზნისათვის ყოვლად სამღვდელოს 20 მან. ბ. ე. თაყაიშვილისთვის გაეგზავნა. ამ სიმპატიურ მოწოდებას მოჰყვა ბ. სილ. გაბუნიას წვლილი (20 მ.) და წერილი, რომელშიაც პატივცემული ავტორი წინადადებას იძლეოდა დაარსებულიყო კერძო „აჭარელთა საზოგადოება“, ან წ. კ. საზ. გამოეყოს კერძოდ „აჭარელთა სექცია“, რომელიც მიიღებდა ყოველივე შემოწირულებას და სათანადო ადგილს მიუჩენდა. დღეს ჩვენს რედაქციას იმავე სილ. გაბუნიამ წარუდგინა ოცი მანეთი, რომელიც ამ მიზნისთვის მის განკარგულებაში გადაუცია ბ-ნ მიტროფანე ლაღიძეს.

აქედან უკვე აშკარაა, რომ ხსენებულ მოწოდებებს უნაყოფოდ არ ჩაუვლია. პირიქით ეტყობა, რომ ჩვენი საზოგადოება ამ საკითხს დიდის თანაგრძობით და ყურადღებით ეპყრობა და ჩვენი საზოგადოების პატივცემულნი წევრნი თავის წვლილს გვაწვდიან.

მხოლოდ ამ შემოწირულებას სისტემა აკლია, ერთნაირი დაქსაქსვა ეტყობა: შემოწირულებანი სხვა და სხვა გზით მიდიან და არავინ იცის, სად ან ვის ხელში მოიყრიან თავს. უეჭველია მრავალ ჩვენთაგანს უსისტემობა აფერხებს, თორემ შემოწირულება უფრო მარდად წამოვიდოდა.

ამისათვის საჭიროა დაარსდეს ერთ-ერთი იურიდიული ორგანო, რომელსაც გაეგზავნებოდა ყოველი შემოწირულება და საქმესაც გაუძღვებოდა.

ჩვენის აზრით უფრო სარფა, და მიზან მისაღწევი იქნებოდა, რომ წ.-კ. საზოგადოების მთავარს გამგეობას ერთგვარი სექცია დაეარსებინა ამ კითხვის მოსაწესრიგებლად.

ახალი ამბავი

◆ **ეკატერინე სარაჯიშვილისამ** შემდეგის შინაარსის დეპეშა გაუგზავნა მიტროპოლიტ პიტირიმს:

„ბედნიერი ვარ მოგილოცოთ თქვენ მეუფეო უმაღლესის დანიშვნით, მაგრამ ამასთან ერთად არ შემიძლიან არ გამოვსთქვა ჩემი ღრმა მწუხარება იმის შესახებ, რომ მრავალ ტანჯულ საქართველოს ეკლესიამ დაჰკარგა თქვენის დანიშვნით ჰუმანიური სიყვარულით აღსავსე მწყემსმთავარი და მფარველი. ჩვენ ქართველებს ნუგეშათ ის ერთი ღრმა რწმენა და გვრჩება, რომ თქვენ მეუფეო უმაღლეს ადგილიდან არ დაივიწყებთ თქვენ მიერ დაწყებულ დიად ქრისტიანულ საქმეს და ბოლომდის დააგვირგვინებთ. დიდ მწუხარებითა ვარ მოცული, რომ მძიმე ავადმყოფობამ ხელი შემიშალა პირადად გამომეცხადებინა თქვენთვის ჩემი ღრმა პატივისცემა და გამომეთხოვა თქვენი მწყემსმთავრული ლოცვა კურთხევა.

ეკატირინე ივანეს ასული სარაჯიშვილისა.

ამ დეპეშის პასუხად მიტროპოლიტ პიტირიმისაგან ქ-ნ სარაჯიშვილისამ შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო:

„სულიერად გმადლობთ. ღმერთი გფარვიდეთ“.

მიტროპოლიტი პიტირიმი.

◆ **თათბირი ერობის შესახებ.** როგორც ნამდვილად გადმოგვცეს, თათბირი, რომელიც უნდა მომხდარიყო ამ თვეში მის უმაღლესობის, მეფის ნაცვლის თავმჯდომარეობით კავკასიაში საერობო რეფორმათა შემოღების შესახებ, თებერვლის ბოლო რიცხვებზე ადრე არ მოხდება.

◆ **ხარფუხის კლუბის მამასახლისთა საბჭო** ენერგიულად ემზადება 10 ქრისტეშობისთვეს **ვაჟა-ფშაველას საღამოს** გასამართავად. პროგრამა ძალიან საინტერესოდ არის შედგენილი. როგორც მკითხველებს მოეხსენებათ საღამოს მთელი წმინდა შემოსავალი გადაეცემა ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოებას ვაჟა-ფშაველას სახელობაზე დაარსებულ ქართველ მოღვაწეთა აგარაკის ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად.

◆ **საჩუქრები ჯარის კაცთათვის.** ქართველ თავად-აზნაურთა წმ. ნინოს ლაზარეთში სიჩქარით მზადდება რამდენიმე ასი ცალი ქისა, რომელნიც გადაეცემა მისის უმაღლესობის ანასტასიია ნიკოლოზის ასულის განკარგულებაში კავკასიის მხედრობის ჯარის კაცთათვის საჩუქრების გასაგზავნად.

◆ **პეტროგრადის ქართული საზოგადოება.** დაჭრილ მეომართა და მათ ოჯახთა დამხმარე პეტროგრადის ქართულ საზოგადოების წესდება უკვე დაუმტკიცებია პეტროგრადის ქალაქის უფროსს. საზოგადოების დამაარსებლად დიმტკიცებული არიან თ-დი დ. ა. ბაგრატიონ დავითაშვილი, ნაფ. ვექილი დ. ზ. ჭიაბრიშვილი, ინჟ.-ტეხ. ნ. დ. ცინცაძე, ა. დ. ქორქია, თ-დი ვ. მ. ლორთქიფანიძე, ნაფ. ვექ. თანაშემწე ს. ვ. ლომინაძე, ტეხნიკოსი რ. ი. არწივი და ნ. ვ. სტეხნევსკი.

◆ **კახეთის რკინის გზის გარშემო.** 30 გიორგობისთვეს პეტროგრადში კრება ჰქონდათ კახეთის რკინის გზის აქციონერებს. ქართველ თავად-აზნაურობის მხრივ კრებას დაესწრა თავ. ზ. დ. ავალიშვილი. კახეთის რკინის გზის გამგეობის წევრად კრებამ ჯერჯერობით აირჩია ხუთის წლით ნ. ნიკოლაძე, ხოლო სარევიზიო კომისიის წევრებად—გ. დ. ჟურული, გ. ი. თულაშვილი და პ. დ. გედავანიშვილი. ბ-ნ ნიკოლაძეს დღეს მოელიან თბილისში. ის როგორც ვიცით, ხსენებული გზის საქმეებისა გამო პეტროგრადში იმყოფებოდა. დღესვე საღამოს, მისის მონაწილეობით კრება ექნებათ ქართველ თავად-აზნაურთა მარშლებს და დეპუტატებს.

◆ **ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების** გამგეობის უკანასკნელ კრებაზე გადასწყდა საბოლოოდ ქართულ ზნე-ჩვეულებათა და საერთოდ საქართველოს კულტურულ თავისებურობათა სისტემატიური შესწავლა. სექციის ხელმძღვანელობა მიენდო ისტორიკოსს თ. დ. ჟორდანიას, რომელიც ამ დღეებში ჩამოვა თბილისში და შეუდგება თავისს საქმეს.

ამავ კრებაზე გადასწყდა ყოველწლიურად ტრადიციულ საღამოს მართვა ჩვენს კულტურულ თავისებურობათა [illegible]. საღამოს [illegible] გამგეობის შემდეგი კრება შეიმუშავებს, 9 ქრისტეშობისთვეს.

◆ **საისტორიო-საეტნოგრაფ. საზოგადოებაში.** ხვალ, შაბათს, დეპუტატთა საკრებულოში, საღამოს 8 საათისათვის დანიშნულია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრება, რომელზედაც ბ-ნი ს. რ. გორგაძის მოხსენების გამო იქნება კამათი **ქართულ მართლწერის** შესახებ. რეზიუმე ამ მოხსენებისა იბეჭდება გაზეთ „საქართველოში“, რათა მსურველთ საშუალება მიეცეთ კამათში მონაწილეობის მისაღებად მომზადებულნი მობრძანდენ. სასურველია კამათს მეტი მცოდნე და მომზადებული პირი დაესწროს, განსაკუთრებით ჩვენი პედაგოგებიდან და ჟურნალ-გაზეთების თანამშრომელთაგან.

◆ **წმ. ბარბარეს** ეკლესიაში დღეს მწირველია გორის ეპისკოპოსი ანტონი.

◆ **თბილისის კოოპერატივმა** გაგზავნა ბაქოს გამგეობის წევრი ბ-ნი კაფიევი სხვა და სხვა საბაკალეულო საქონლის შესაძენად ათი ვაგონის—წონისა. საქონელს მომავალ კვირას მიიღებენ.

◆ **ხელოსანთა შორის.** დამთავრდა არჩევნები წიგნების მკაზმავ ამქრისა. მამასახლისად არჩეულ იქმნა გ. გ. სარიბეგოვი, ხოლო კანდიდატათ ნ. მ. ბადრიძე. კრებაზე დაადგინეს—ყველა ამქრის წევრს დაევალოს გადასახადი წლიურად 1 მანეთი შეუძლებელ ხელოსანთა ოჯახის სასარგებლოდ.

◆ **ქართ. საქვ.-მოქ. საზოგადოებამ** პეტროგრადის ქართველ საზოგადოებისაგან, რომელიც დაჭრილ მეომართა და მათ ოჯახებზე ზრუნავს, გამოუგზავნა ქართველ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობას 5 ათასი მან.

მომხმარებელ საზოგადოების „მეურნე“-ს გამგეობამ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა ეხლავ შეუდგეს მაღაზიის მოწყობას. ჯერ ჯერობით ბინა „ქართლის“ შენობაში ექნებს. საბაკალეო სანოვაგე ერთი ვაგონი უკვე გამოიწერა ბაქოდან. დანარჩენ საქონელს ადგილობრივ შეიძენს ბითუმად მოვაჭრეთაგან.

◆ **სახალხო უნივერსიტეტში** სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოებამ მოაწყო ქართულ ენაზე ძველ ისტორიისა და ბუნების მეტყველების კურსები ქართულ ენაზე. აგრეთვე მოაწყო საზოგადო განათლების კურსებთან მოზრდილთათვის პოლიტიკურ ეკონომიის შესწავლა.

◆ **მევენახეობა-მეღვინეობის სკოლა.** თბილისის გუბერნიის მევენახეობა-მეღვინეობის საგანგებო კომისიამ 2 ქრისტეშობისთვეს საბოლოოდ გადასწყვიტა გაიხსნას ჩუმლაყის სანერგესთან (კახეთი) მევენახეობა-მეღვინეობის სკოლა. ამ სკოლამ იმდენად უნდა მოამზადოს მოსწავლენი, რომ მათ ინსტრუქტორობა შეეძლოთ.

ქართული მართლწერა

(რეზიუმე [1])

ქართული მართლწერის საკითხი თვით ცხოვრებამ წამოაყენა და მის გადაწყვეტას დაჟინებით მოითხოვს. მაგრამ ამ საქმეში დიდი სიდინჯეა საჭირო: არ უნდა დავივიწყოთ რომ ქართული ენის ისტორიისა და კილოკავდიალექტების შესწავლა სულ ახალი საქმეა, ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი და ამიტომ მართლწერის საკითხში აჩქარებას შეუძლია—ვნება მოგვიტანოს.

ამისდა მიუხედავად, რაც დღემდე მეცნიერების მიერ გაკეთებულია, არც ის იქნება უსარგებლო ამ საკითხის წინ წასაწევად: იმასაც შეუძლია—მცირეოდნად მაინც შეასუსტოს ის ანარქია რომელიც მართლწერის მხრით დღეს ჩვენს მწერლობაში სუფევს.

ამ შეგნებამ გაგვაბედინა—ჩვენ მიერ შემუშავებული პროექტი ქართული მართლწერის მოწესრიგებისა ჯერ სპეციალისტთა ვიწრო წრეში წაგვეკითხა[2]) და შემდეგ უფრო ფართო საზოგადოების წინაშე გამოგვეტანა საკამათოდ და ჭეშმარიტების გამოსარკვევად.[3])

ჩვენს მოხსენებაში თავდაპირველად ჩვენ განვიხილეთ ეგრეთ წოდებული **წმინდა ფონეტიკური პრინციპი მართლწერაში** („სწერე ისე როგორც ლაპარაკობ“) და დავრწმუნდით რომ თავისი ლიტონი სახით იგი შეუწყნარებელია არსებითად და გამოუსადეგარია პრაქტიკულად. ამოტომ საჭიროდ დავინახეთ ამ პრინციპის შეზღუდვა, საკუთარ ფარგალში ჩაყენება და სხვა მტკიცედ განსაზღვრულის პრინციპების გამონახვა.

ჩვენმა ძიებამ შემდეგს რვა პრინციპზე მიგვიყვანა:

1. გრაფიკულ-ფონეტიკური პრინციპი. გრაფიკულის მხრით მწერლობა იმდენად უფრო მაღლა დგას, რამდენადაც ყოველ მარტივ ბგერას მისი შესაფერისი საკუთარი ნიშანი (ასო) მოეპოვება. ამ მხრით ქართული მწერლობა შედარებით ბედნიერ პირობებშია. 33 ასო, რომელიც ჩვენს თანამედროვე მწერლობას წარსული საუკუნის 60-იანი წლების რეფორმატორებმა შეანარჩუნეს, სწორედ ამდენსავე მარტივ ბგერას უდრის. მაგრამ ეს 33 ასო საკმაო არ არის ყველა მარტივი ხმის გამოსახატავად რომელიც დღევანდელს ქართულში ისმის. აუცილებლად საჭიროა—აღდგენილ იქნას ნახევარხმოვანი ჲ ისეთი სიტყვების დასაწერად რომელშიაც ეს მარტივი ბგერა ისმის, როგორც სრულის ი-სისაგან განსხვავებული ხმა. მაგალითად სიტყვებში: ვაჲ, ჰაჲ-ჰაჲ, სჲუჟეტი, ევოლჲუცია, მამინაჲშვილი, გეგინეჲშვილი და მისთანანი. ამ ასოს აღდგენა საჭიროა რადგან პირველი პრინციპი, რომელსაც ქართული მწერლობა დიდი ხანია მისდევს და რომელსაც აქ ჩვენ „გრაფიკულ-ფონეტიკურს“ ვეძახით, თხოულობს—**ყოველი მარტივი ბგერა გამოიხატოს მისი შესაფერისი ერთი ასოთი (არც მეტი, არც ნაკლები) და რომელი ბგერაც გამოთქმაში არ არსებობს ის არც მწერლობაში უნდა იყოს.**

2. ეროვნული პრინციპი. ქართული სალიტერატურო ენა ეროვნული ენაა და ჩვენი ეროვნული მთლიანობის ინტერესი მოითხოვს რომ ეს ენა ერთი და საერთო იქნეს ყველა ქართველი ტომისათვის. სწორედ ამიტომ **მართლწერაში სასტიკად უნდა დაცულ იქნას ფორმათა ერთსახეობა.** ამ პრინციპის ძალით შეუწყნარებელია—სალიტერატურო ქართულში ვიხმაროთ შემდეგი რწყვილ-რწყვილი ფორმები: კარგა**დ** და კარგა**თ**, სთქვა**ს** და სთქ**ოს**, **ალვ**იარებ და **ვალ**იარებ, **თფ**ილი და **თბ**ილი,—არამედ ან ერთი ან მეორე, თუ სახელდობრ რომელი, ამისი პასუხი შემდეგმა მუხლებმა უნდა მოგვცეს.

3. ევოლჲუციონური პრინციპი. როგორც ყველაფერი ცხოვრებაში და ყოველი ენა ისე სალიტერატურო ქართულიც საზოგადო განვითარების კანონს ემორჩილება. როგორც ყველგან ისე აქაც ზოგიერთი ფორმა ძველდება და კვდება, სანაცვლოდ ახალი ცოცხალი ფორმები ჩნდება და ბატონდება. როგორც ქართველი ერი ისე მისი ენაც ცოცხალი ენაა და ამიტომ ის ვერასოდეს ვერ გადაიქცევა მკვდარი ფორმების სალაროდ; სწორედ ამიტომ **მწერლობაშიაც ენის ცოცხალ ფორმებს უპირატესობა უნდა მიეცეს მკვდარი ფორმების წინაშე.** ამ პრინციპს დიდიხანია მისდევს თანამედროვე სალიტერატურო ქართული და ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება კიდევაც აჭარბებდეს როცა, მაგალითად, სდევნის ჯერ კიდევ ცოცხალ ძველ ფორმას და მის ადგილას ახალ ცოცხალ ფორმას აბატონებს[4]), მაგრამ ისეთი შემთხვევაცაა, როცა ნამდვილად მკვდარის ძველი ფორმისაგან მთლად ვერ განთავისუფლებულა. ასეთია მაგალითად სიტყვა **„ტფილისი“** რომელიც ამ ფორმით დიდიხანია მკვდარია ქართულს ენაში და მისი ადგილი აქ ორს ახალ ფორმას უჭირავს: **„თფილისი“** და **„თბილისი“**. ჩვენი პრინციპი მოითხოვს—ფორმა „ტფილისი“ თანამედროვე მწერლობიდან გაძევებულ იქნას, როგორც მკვდარი ფორმა, და მის ნაცვლად ხმარებულ იქნას ერთ-ერთი მისი ცოცხალი ექვივალენტი: „თფილისი“ ან „თბილისი“; ამგვარადვე აღარ უნდა ვიხმაროთ მკვდარი ფორმა „სახლი**თგან**“, არამედ ერთ-ერთი მისი ცოცხალი ექვივალენტი: „სახლი**დგან**“, „სახლი**დან**“ ან „სახლი**დამ**“; თუ სახელდობრ რომელ ცოცხალ ფორმას უნდა მიეცეს უპირატესობა, ეს შემდეგმა პრინციპებმა უნდა გამოგვირკვიოს.

4. კულტურული პრინციპი. როგორც ყოველი სალიტერატურო ენის შემოქმედი ისე სალიტერატურო ქართულისაც ერის მხოლოდ უკულტურესი ნაწილია და არა მთელი ერი კულტურული მდგომარეობისა და ტომების გაურჩევლად. კერძოდ თანამედროვე სალიტერატურო ქართულს საფუძვლად უძევს, ძველ სალიტერატურო ენასთან ერთად, ორი მთავარი ცოცხალი კილოკავი: **ქართლ-კახური და იმერულ-გურული.** ქართველ მწერალთა უდიდესი ნაწილი მე-19-ე საუკუნის ნახევრიდან მოკიდებული (გიორგი ერისთავის კომედიების გამოქვეყნებიდან), როგორც მოგეხსენებათ, ქართველი ერის იმ ტომთაგან გამოდის, რომელნიც ზემო დასახელებულს ორ ცოცხალ კილოს ლაპარაკობენ: ქართლ-კახურსა და იმერულ-გურულს. თავის მხრით ამ უკანასკნელთა შორის უპირატესობა ქართლ-კახურ კილოს უჭირავს და ეს ასეც იქნება, რადგან მესამე საფუძველი თანამედროვე სალიტერატურო ქართულისა, სახელდობრ ძველი სალიტერატურო ქართული, უმთავრესად ძველი ქართლური კილოკავის პირმშო შვილია და სწორი სალიტერატურო ფორმების უმეტესი ნაწილიც თანამედროვე ქართლ-კახურ კილოში უფრო კარგად არის შენახული ვინემ იმერულ-გურულში, თუმცა სიმართლე მოითხოვს შევნიშნოთ, რომ მთელი რიგი სწორი ძველი ფორმებისა იმერულ-გურულ კილოკავში უკეთ არის დაცული ვინემ ქართლ-კახურში. როგორც ქართველობის უდიდესი და კულტურულად უფრო დაწინაურებულ-გავლენიანი ნაწილი, აღნიშნულის ორი კილოთი მოლაპარაკე ქართველი ტომები (ქართლელნი, კახელნი, იმერელნი და გურულნი), აგერ ნახევარ საუკუნეზე მეტია, სათავეში უდგანან ახალ ქართულ მწერლობას და მძლავრად აწარმოებენ თანამედროვე სალიტერატურო ენის განვითარებას. დანარჩენ ტომთაგან გამოსული ინტელიგენციაკი (ორიოდეს გამონაკლით) იძულებულია მხოლოდ მხარში ამოუდგეს და მისდიოს იმ მთავარ-ტომთაგან გაკვალულს გზას. ეს მოვლენა მთელი ჩვენი წარსულისა და აწმყო კულტურული ცხოვრების აუცილებელი შედეგია და ამიტომ სხვაგვარად საქმის შეტრიალება არც სასურველია და აღარც მოსახერხებელი: ისტორიამ თავისი ჰქმნა და ქვეყანაზე არ მოიპოვება ისეთი ძალა რომელსაც შეეძლოს—მისი ჩარხი უკუღმა შეატრიალოს ან თავის ნებაზე გადაატრიალოს. ამიტომ, როცა ჩვენ ვამბობთ რომ თანამედროვე ქართულ მწერლობაში უპირატესობა უნდა მიეცეს ენის **ცოცხალ** ფორმებს **მკვდარის** ფორმების წინაშე, სწორედ იმ ფორმებს ვგულისხმობთ რომელნიც ამ ორ ძირითად კილოში (ქართლ-კახურში და იმერულ გურულში) დღეს ცოცხალნი არიან ან აღარ არსებობენ, მომკვდარან, სულერთია სხვა ქართულ კილოებში (მაგალითად ინგილოურ, ფშაურ, თუშურ, ხევსურულში) და მონათესავე ენებში (მეგრულ-ჭანურში და სვანურში) ცოცხალნი არიან იგივე ფორმებში თუ არა. ამგვარად: **რომელი ფორმაც თანამედროვე ქართლ-კახურსა და იმერულ-**

---

[1]) ავტორის თხოვნის თანახმად სავსებით ვიცავთ მის მართლწერასა და პუნქტუაციას რომლის საფუძვლებსაც მკითხველი ქვემოთ გაეცნობა.

რედაქცია.

[2]) ამ წრეში ბრძანდებოდენ: პრივატდოცენტები ივ. ალ. ჯავახიშვილი და იოს. ალ. ყიფშიძე, დეკანოზი კორნილი კეკელიძე და ბ-ნნი იუსტ. ი. აბულაძე და პავლე ინგოროყვა. ჩვენი პროექტ-მოხსენების მთავარდებულებანი (ორიოდე წვრილმანის გარდა) წრემ ერთხმად მოიწონა. ვბეჭდავთ ამ მოხსენებას ფრიად შემოკლებით, ჯერჯერობით მხოლოდ როგორც პროექტს, საკამათოდ და ჭეშმარიტების გამოსარკვევად.

[3]) ვრცელ მოხსენებად წაკითხულ იქმნა ამ წლის 20 ენკენისთვეს „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ ჩვეულებრივს კრებაზე. **კამათი დაიწყო 21 ოქტომბრიდან იმავე საზოგადოების ჩვეულებრივ კრებაზე.**

[4]) ასეთია მაგალითად ზოგიერთი მწერლის მიერ ათვალწუნებული ძველი ფორმა თანდებულისა **„მდე“** და მის ნაცვლად ხმარება ახალი ფორმებისა: **მდის, მდინ** (და ზოგჯერ **მდისინ**). უძველესი ფორმა გახლავსთ **მდე** და ეს ფორმა დღესაც ცოცხალია (იმერულ კილოებში).

და მევენახეობა-მეღვინეობისა სკოლაში ასწავლიან მეხილეობას და მებოსტნეობას. ვინაიდან ჩუმლაყის სანერგე რამდენიმეთ დაშორებულია სოფელზე, განზრახულია სკოლასთან დაარსდეს პანსიონებიც.

◆ **„კავკასკოე სლოვოს“** ასოთამწყობთა გაფიცვა გრძელდება. გაზეთი დღესაც არ გამოსულა.

◆ **კავკასიის მთავარი კომიტეტი.** ამ კომიტეტის მოვალეობას შეადგენს: იზრუნოს ომიანობისაგან დაზარალებულთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. წინად კომიტეტის თავმჯდომარედ იყო ე. ა. გრაფინია ვორონცოვ-დაშკოვისა. ამ კომიტეტისაგან, რომლის განკარგულებაში ერთობ დიდი ფულია, წინად თითქმის არავითარი დახმარება არ მიუღია ქართველ დაზარალებულ ხალხს და, სხვათა შორის, შეიძლება ეს იმითაც აიხსნება, რომ კომიტეტში ქართველთაგან მარტო ერთი თავ. კ. ნ. აბხაზი იყო და მას შემდეგ თავ. მ. ა. სუმბათაშვილი. ბოლო დროს ვითარება შესამჩნევად შეიცვალა და უნდა ველოდეთ, რომ კომიტეტისაგან ქართველ დაზარალებულებსაც ექნება სარგებლობა კომიტეტის წევრად რამდენიმე ხანია მიწვეულ იქმნა ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა მარშალი თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი. ამ უკანასკნელმა ამ დღეებში წარუდგინა კომიტეტის თავმჯდომარეს სენატორ ჩებიშევს მეფის ნაცვლის მიერ დასამტკიცებლად კომიტეტის წევრებად გენერალი გ. ნ. ყაზბეგი, მ. ვ. მაჩაბელი და ე. ს. თაყაიშვილი.

◆ **ვაზის წამალი.** თბილისის გუბერნიის მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტმა გადასწყვიტა გახსნას კონდოლისა, ჩუმლაყისა და ალაიანის სანერგეებთან შაბიამანისა და გოგირდის საწყობი. კონდოლის სანერგეში ეხლავე ეწერებიან წამლის ყიდვის მსურველნი.

ხსენებული კომიტეტი შეეკითხა წვრილ საკრედიტო დაწესებულებათ და კოოპერატივებს, თქვენი რაიონებისათვის რამდენს გოგირდსა და შაბიამანს დაიკვეთთო. საკრედიტო დაწესებულებანი და კერძო მემამულენიც თხოვენ კომიტეტს, უთუოდ იქნან ისინი მყიდველთა სიაში შეტანილი.

დ. ხონი.

შაბათს, 28 გიორგობისთვეს, ადგილობრივ კლუბის დარბაზში გაიმართა „სალიტერატურო საღამო“ ხონის ორკლასიან სკოლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ.

— ხონში ძლიერ გავრცელდა ქურდობა და ავაზაკობა.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში წერილში—„ირ. ევდოშვილი სოხუმში“ შეცდომაა, რომელიც აზრს ამახინჯებს. დაბეჭდილია, რომ ექიმმა ბ. გრიგოლიამ მგონანს აღუთქვა **ყოველთვეს** გინახულებო. უნდა იყოს **ყოველთვის** და სხ.

დაჭრილ-დაავადმყოფებული ქართველი ჯარისკაცნი.

თბილისის ლაზარეთებში იმყოფებიან:

№ 8-ში.

აიცურაძე გიორგი პეტრეს ძე, ჩუგაშვილი მიხაკო დათას ძე, ბოჭორიშვილი აკაკი ლუარსაბის ძე, გაბატაშვილი დიანოს რაჟდენის ძე, რევიშვილი ვასილი ლუკას ძე, მეტრეველი გიორგი, შვილდაძე პროკოფი, ხორგუაშვილი სოლომონ, ოდიშელიძე ვასილ, კახუტელაშვილი ალექსი პირ. ჯაფარიძე ფილიპე სიმონ., შენგელია გერასიმე პავლეს ძე, წერეთელი პროკოფი, დუმაშვილი ზაქრო დათას ძე, ნასყიდაშვილი ივანე ანდრიას ძე, ხაუტაშვილი ალექსი ნიკ., ახვლედიანი ესტატე ივანეს ძე, ხარებავა ლავრენტი ალექსის ძე, დიმიტრაშვილი ზაქრო ალექსის ძე, სირაძე გიორგი, მაისურაძე ზაქრო ლაზარეს ძე, მეხაშეშვილი კოტე მიხაკოს ძე.

№ 11-ში.

ებანოიძე ბიკენტი, ხურციძე სამსონ იაკობის ძე, შანავა არტემ, ალადაშვილი იოსებ თომას ძე, კაგოშიძე ვასილი, ჩადუნელი თედორე ასლანის ძე, ჯაკაშია დათა ყარამანის ძე, ნადიბაძე ნიკო ანდროს ძე, მაღლაკელიძე გიორგი.

(№ 23-ში) გოგობერიძე ნოე ქიშვარდის ძე. (№ 26-ში) კობახიძე შალვა ხარ.

№ 37-ში.

კონჯარია კონდრატი ზოსიმეს ძე, კაპანიძე ას. გიორგის ძე, ბუჯაიძე თომა მიხაკოს ძე, ბახუტაშვილი იოსებ სოლომონის ძე, ასანიძე სერაფი ონოფრის ძე, ნაკა შავაძე იულიან ლევან.

რუსეთის ასპარეზი რუსეთის სამხედრო მიმომხილველის მიერ

ბრძოლის ხაზი გაჭიმულია რიგის ყურიდან კარპატამდე. ხაზი გაიჭიმა, მაგრამ შეჩერდა მოძრაობა, განსაკუთრებით შუაში. თუ სადმე ბრძოლა მკვირცხლ ხასიათს იღებს, ეს ითქმის ისევ ჩრდილო და სამხრეთ ბრძოლის წვერზე. სამხრეთით ჩვენ ვაწვებით გალიციისკენ, ჩრდილოეთით კი გერმანელები რიგა და დვინსკისკენ იყურებიან...

თუ რა მოქანცულები არიან ჩვენი მტრები, ეს სჩანს გერმანელ ტყვე აფიცერთა თავხედური პასუხისაგან. ჩვენაო, გვეუბნებიან, გერმანიისთვის ვიბრძვით, იგი მსოფლიო სახელმწიფო უნდა გახდეს. წვრილმანს არავითარ ყურადღებას არ ვაქცევთ. პატარ-პატარა გამარჯვება და მარცხი ეს ისევ რუსის პსიხოლოგიის დამახასიათებელია. თუ მოვა დრო და საჭიროდ დავინახეთ, მაშინ დავცხებთ კიდეც აღნიშნულს ადგილას. მანამდე კი... ვიცდით. თქვენ, რუსები ამბობთ, დრო ჩვენს სასარგებლოდ გადასწყვეტს საკითხსაო. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ იგივე დრო არც ჩვენი მტერი იქნება...“

მართლაც, გერმანელები იქ არიან ძლიერნი, სადაც მოისურვებენ. აგერ, დიდი ხანი არ არის, რაც ნიშანში ამოიღეს ბალკანეთი. იქ მიაყარეს ძალები. ეხლა ბალკანეთში საქმე თითქმის მორჩომილია და მათი ჯარების ტალღათა უკუქცევა დაიწყო. საით წამოვლენ?—არ ვიცით. ისე სჩანს თითქოს დვინსკის რაიონში უნდა უყრიდნენ თავს. მოაქვთ ახალ-ახალი იარაღი. მაგრამ შეუძლებელია ვიფიქროთ, ვითომც ეს იყოს მათი მთავარი მიზანი, ამ ასპარეზის გადმოლახვა, აქ არ აპირებენ ჩვენი ჯარების მთავარი გარღვევას. იგინი სადღაც აპირებენ სიკვდილის მეფის გამოშვებას, ამისთვის დაუცხრომლად ეზიდებიან ჩვეულებისამებრ მძიმე და ზღაპრულ ზარბაზნებს, აუარებელს ტყვია-წამალს. ტყუილად გვაქვს იმისი იმედი, ვითომც გერმანელები მოიქანცნენ და სულით ისეთები ვეღარ არიან, როგორც წინად. როდესაც გასულს ზამთარს გერმანელები და ჩვენები ერთმანეთის პირისპირს იდგნენ ბზურაზე და რავკაზე, ანუ რომელიმე საბრალო პიასზე, გერმანელები ასევე „უმოქმედოდ“ ისხდნენ, მაგრამ მოვიდა დრო და ეს „უმოქმედო“ ხალხი აიშალა, მძაფრი იერიშით გვეკვეთა და ბევრჯერ და ბევრს რამეზე დაგვწყვიტა გული. ასეთივე ისტორიაა დღეს. ჩვენში, დვინაზე, თითქმის ყველა ჯარისკაცმა იცის, რომ აქ გერმანელები ზამთარს არ გამოილამებენ. შეიძლება თამამად ითქვას, სად წამოვლენ, საიდან დაიწყებენ ნელ-ნელ გამოცოცებას, მაგრამ მანამდე აბა შეხედეთ ამ ადგილებში როგორი სიწყნარეა, ჩამი-ჩუმიც აღარ არის, ვითომც არაფრის მოლოდინი არ უნდა გვქონდეს შეიძლება ითქვას, თითქოს აქ ერთგვარი სამხედრო იდილიაა გამეფებული, მაგრამ ეს იდილია გახლავთ სწორედ მომზადებისა და მძაფრი მუშაობის ხანა. რა თქმა უნდა, აქეთ სიწყნარეა, მაგრამ ეს სიწყნარე დიდი ქარიშხალის წინამორბედია. სიწყნარე იგი გვაგონებს ვეფხს, რომელიც იმალება საფარში რათა ამონიშნულ მსხვერპლს მოულოდნელ ნახტომით სიკვდილის ზარი დასცეს თავზე. მხეცი გაწვა მიწაზე, ისე ჩაეკრა მიწას, თითქოს შიგ ჩადნობა ჰსურსო. ირგვლივ სიწყნარეა, სასაფლაოზე გამეფებული დუმილის მზგავსი სიწყნარე. თვით მხეცის სუნთქვაც კი არ ისმის, მაგრამ წუთიც, მტრის თვალმა გამოზომა ნახტომის ვარაუდი და საშინელის ღრიალით ისკუპებს აღნიშნულ მსხვერპლის თავზე. ჩვენმა გმირებმა უწყიან დვინაზე გერმანელ მხეცის განზრახვა და ამიტომაც ყოველ „მოულოდნელ“ ნახტომის ასაცილებლად ემზადებიან. ეს სიწყნარე განსაკუთრებულის ხასიათისაა, სიწყნარე კუნოების დაჭიმვისა, სასტიკი შურისძიებისა... (რ. სლ.).

ოიდიპოს მეფე

მე ვიყავ „ოიდიპოს მეფე“-ზედ, ცირკში. წაველი მიტომ უფრო, რომ ჩვენები სდგამდნენ ისეთ გენიალურ ნაწარმოებს, როგორიც არის სოფოკლის ტრაგედია და, მასთანავე გვპირდებოდნენ მის შესრულებას რაინჰარტის იდეით.

ძალიან დაინტერესებული ვიყავი გამეგო, შესძლებენ თუ არა ჩვენები მის დადგმას მაინც, რუსებმა ვერ იქნა, ალღო ვერ აუღეს ამ შესანიშნავ რეჟისორის მხატვრულ შემეცნებას.

ვნახე და სწორედ მოგახსენოთ, გავკვირდი. გავკვირდი არა იმიტომ, რომ ეს წარმოდგენა ყველა მხრით უნაკლო იყო. არა, მე გამაკვირვა იმ ჩემთვის უცნობ თავგანწირულობამ, რომელიც ჩვენმა მსახიობებმა განიცადეს.

მრცხვენიან ხმა ამოვიღო, გავბედო, მიუთითო ამა თუ იმ შეცდომაზე ახლა, როდესაც უკვე ვიცით, რომ მხოლოდ მართლაც ძალიან გულწრფელს და ხელოვნებისათვის გულშემატკივარს ადამიანს თუ შეუძლიან სცენაზედ ფეხის გადმოდგმა ისეთ აუტანელ, წარმოუდგენელ პირობებში, როგორც ჩვენებს ცირკში მოუხდათ. ან კი როგორ მოახერხეს, რა ძალა შესწევდათ მოეცათ ყველა ის, რაც ჩვენ მათ მოგვცეს,

თუ მაინც და მაინც მე ჩემსას არ ვიშლი და ტრაგედიის შესრულებაზედ მსურს ჩემი აზრი გამოვსთქვა, ეს ჯერ ერთი იმიტომ, რომ პირადათ მე არა ვარ მომხრე ხელოვნებაში ცნებისა: „სულ არარაობას ცალ უღელა ხარი სჯობიაო“ და მეორეც მაქვს სურვილი ამხანაგურად მიუთითო იმ მთავარ შეცდომებზე, რომლებიც მომავალში აუცილებლივ უნდა შესწორდეს.

პირველი შეცდომა გახლავთ იმაში, რომ რაინჰარტი სდგამს სოფოკლის ტრაგედიას ბ. გოფმენსტალის ინსცენირობით, ჩვენები-კი ისე, როგორც თვით სოფოკლს აქვს დაწერილი. ამას კი ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ტრაგედია საგრძნობლად არის გადაკეთებული. ბევრია გამოტოვებული, ბევრიც ახალია შეტანილი.

გოფმენსტალის ინსცენირობის მთავარი აზრი ასეთია: გარკვეული და მარტივი რიტმით ბრბოს ტრაგედიის პათოსი უნდა გადვიდეს პიროვნების ტრაგედიის პაფოსისკენ. ბრბოს საშინელება ოიდიპოს მეფის უბედურობით იცვლება. ჯერ ბრბოა აქტივი პაფოსის მატარებელი, შემდეგ ედიპი. ხოლო შუა ადგილას, მანამ მოქმედება ტრაგედიის კვანძს მოუახლოვდება, სცენაზედ მყუდრო piano უნდა სუფევდეს. ტერეზის და ოიდიპოს დიალოგის შემდეგ საჭიროა crescendo, რომელიც საშინელის გრიგალით თავდება ეს როცა ოიდიპოს თვალებს ითხრის. აქვე თავდება პაფოსიც, ექსტაზი. შემდეგ ისევე piano და თავდება ტრაგედია pianissimo-თი.

ყველაფერი წარმოდგენის დროს მხოლოდ რიტმას ეყრდნობა. სულ მცირე შეცდომა რიტმში მთელ ტრაგედიის შთაბეჭდილებას აბათილებს.

სწორედ ამ მოსაზრებითვე შესცვალა და შეასწორა გოფმენსტალმა სოფოკლის ნაწარმოები. აი მაგალითად იმდღანდელ წარმოდგენაზედ საშინელი წივილ-კივილით გამოცვივდნენ ქალები. თავზარდაცემულნი აქეთ იქით გარბიან ჰკივიან, თმებს იგლეჯავენ—შემდეგ კიბეზე ჩამოსხდებიან და დაწვრილებით უამბობენ ხოროს იმას, რაც მოხდა დარბაზში.

გოფმენსტალს ეს ადგილი სრულიად შესწორებული აქვს. კარგად ესმის სცენა და იცის, რომ საშიშია აქ სცენის გაცივება; ჩვენს ბრბოს სწორედ ასე მოუვიდათ. ამიტომ ქალები კივილით სირბილის დროს მოკლედ ამცნებენ ქალაქს, რომ იოკასტამ თავი დაიხრჩო. ოიდიპოსმა თვალები დაითხარა. ექსტაზის გასაძლიერებლად გოფმენსტალს ამ დროს ბრბო ისევე შემოჰყავს. ბრბოც ნახავს რა ამ შესაზარ სცენას, წარმოუდგენელის ჟივილ-ხივილით გარბის და მიეფარება. თვით მოხუცთა ხოროც ამ ჯოჯოხეთურ აურზაურში აქტიურ მონაწილეობას იღებს. იმდღეს კი ცირკში, ხორო ისევე დარაზმული ერთ რიგზედ გაყუჩებული იდგა.

მეორე საჭიროებას შეადგენს გარკვეული და ჰარმონიულად შეთანხმებული ყველა მომქმედ პირთან მომღერი რეჩიტატივი. უკანასკნელი უსათოვოდ შესაფერისად შეფარდებული უნდა იყვეს იმ ენის ბუნებასთან, რა ენაზედაც ეს ტრაგედია იდგმება. ამასთანავე ძალიან საფრთხილოა, რომ ეს რეჩიტაცივი უბრალო მშრალ დეკლამაციად არ იქცეს. ჩვენებს, საუბედუროთ, სწორედ ასე დაემართათ.

შემდეგ ტრაგედიის შესრულების დედაბოძად უნდა ჩაითვალოს აგრედვე პლასტიკური თანხმობითი შეჯგუფება და განაწილება: ბრბოსი, ხოროსი და მომქმედი პირებისა. სრულიად არ იყო დაცული ეს პრინციპი ესიკოვსკის ცირკში. მაგ. იოკასტას ლოცვის დროს, რეჟისორი ქალებს და კაცებს ერთ წყობად აყენებს თვითონ იოკასტადგას—სამსხვერპლოსთან. აქ არავითარი სურათი არ იყო. სჩანს აქ ვერ ისარგებლეს საუცხოვო მომენტით. რაინჰარტს და გოფმენსტალს აქ ცეკვაც აქვს შეტანილი. ცენტრალი ფიგურა იოკასტაა. ქალები მარჯვნივ და მარცხნივ უდგანან. ორ ჯგუფად გაყოფილი ხორო მოედანზედ დაჩოქილი სდგას. ქალები ლოცვის შემდეგ წყვილწყვილად აწყობენ ყვავილებს და ხელებს ზეცას აღაპრობენ. შემდეგ თავს უკრავენ და თავ-თავიანთ ადგილებზეც დგებიან.

ტემბრი ტრაგედიაში ძალიან ფხიზელია და მარტივი.

იმდღანდელი წარმოდგენის მთავარი შეცდომები უპირველესად რეჟისორის ბრალია. ეს ტრაგედია სწორედ იმიტომ გადიტანეს ცირკში რომ სწორედ აქ შეიძლებოდა ყველაფრის შესაფერად მოწყობა. თვით ცირკის არენა ოთხკუთხიან მოედნათ კეთდება. აქედან იწყება ფართო განიერი კიბე და მრავალი საფეხურებით ადის დარბაზის [illegible] დარბაზი სადაა, [illegible] კარებით. ფარდა სულ მეტია. აჭრელებული სვეტები დიდი შეცდომაა. ამით ილახება სტილი.

მოედანზედ მოქმედობენ: ხორო და ბრბო, ხოლო კიბეზედ—დანარჩენი მომქმედნი პირნი.

ესიკოვსკის ცირკში კი მოედანი სრულებით არ იყო შესაფერისი. დარბაზის კოლონადა უბრალო ჩარდახს წააგავდა.

ბრბო გამოვიდა თავისუფლად, უბრალო ყვირილით და ჟრიამულით. ნამდვილად კი საჭიროა ერთი გარკვეული და შემაჟრჟოლებელი დისონანსი. მას თან სდევს საყვირების და დოლის ხმა. ეს დისონასი პირველი ნაბიჯია ტრაგედიაში, რითაც მსმენელი უნდა შეიპყრო და ბოლომდის შეინარჩუნო.

მართალია, არიან ისეთი პირნიც, როგორც, მაგალითად, პეტროგრადის მუსიკალურ დრამის რეჟისორი, რომელნიც ფიქრობენ, რომ ბრბო ჩუმათ, ფარულად უნდა იპარებოდეს დარბაზისკენო. დიდი უბედურობაო, დასძენს იგი, ეს ბანაკი, ხალხს უენოთა ხდის და საშინლად აყუჩებსო. ეს დიდი შეცდომაა, უპირველესად სცენიურ აფეთქების მოსაზრების მხრივ.

ესიკოვსკის ცირკში ბრბომ შემოსვლის შემდეგ ვერ მიიღო სწორე განაწილება. მოხუცი—წინამძღოლი რამოდენიმე პირით უფრო წინ უნდა მდგარიყო. მის ქვეით იქვე მთელი ხალხი საჭირო იყო უფრო მჭიდროდ შეჯგუფებულიყო. თვითონ მოხუცი ძალიან ხანგრძლივ ლაპარაკობდა. ბ. გოფმენსტალს აქაც აქვს მარტივად დაცული პათოსის შენახვა შეუჩერებლობა. მონოლოგი მოხუცისა სამს აქვს განაწილებული, მათში ქალიც ურევია. სამივე საშინელის ყვირილით, თითქმის ღრიალით მოსთქვამენ. თავიან უბედურობის ამბავს. სწორედ იმ ხმაზედ, რა ხმაზედაც ბრბო ღრიალებდა. გუშინწინ-კი მარტო ერთი გადმოგვცემდა ყველაფერს, ისიც ფრიად დაბალ ხმაზე და უგემური დეკლამაციით. თვითონ ბრბო ძრიელ არ იყო ფხიზელი, მოძრავი და აღელვებული.

ალექსანდრე ახმეტელი.

(შემდეგი იქნება)

ქართული ზმნა

ბ. ჟ. რეზის შენიშვნისა გამო.

ჩემი წერილი ქართული ზმნის შესახებ (საქართველო №№ 144 და 146) ბ. რეზის სასიამოვნოდაც დარჩენია და სამწუხაროდაც.

მომისმინოს ჩემმა მოკამათემ და, ეჭვი არა მაქვს, სასიამოვნოს მეტს ვერასა ნახავს ჩემს ნათქვამში, რადგან დარწმუნებული ვართ, რაც უნდა ძალიან ჰმეგობრობდეს პლატონს, ჭეშმარიტებას მაინც არ უღალატებს.

უცხოეთით გადმოსულმა ბ. ლიოზენმა არ დაზოგა უსამზღვრო შრომა, შეისწავლა ჩვენი ენა და მთელი წიგნი უძღვნა ქართულ ზმნას.

გურულში ცოცხალი აღარაა ასეთი ფორმა, თუნდაც ძველ ქართულშიაც მოიპოვებოდეს და სხვა კილოებსა და მონათესავე ენებშიაც ცოცხალი იყვეს, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში აღარ უნდა ვიხმაროთ როგორც ქართველი ერის უუკულტურესი ნაწილისათვის მკვდარი ფორმა. მაგალითად, ძველი ქართული ფორმები: „კარი, კელი, მოვიდის, წავიდის“ დღესაც ცოცხალია ფშავხევსურულსა და მოხევურ კულოკავებში მაგრამ მკვდარია ორ ძირითად კილოკავში (ქართლ-კახურსა და იმერულ-გურულში) და ამიტომ ვეღარც თანამედროვე სალიტერატურო ენაში ვიხმართ. მით უმეტეს სალიტერატურო ენის ნორმებად ვერ მივიღებთ ისეთს პროვინციალურ ფორმებს როგორიცაა, მაგალითად, ფშაური „წამამიღოდი“, „არა დ’“ (=არა და) და სხვანი *).

5. **ისტორიულ-გენეტივური პრინციპი.** როგორც ისტორიულ ერს, რომლის აწმყო ხილულის თუ უხილავის ძაფებით შეკავშირებულია მის კულტურულ წარსულთან, ჩვენ ქართველებს არ შეგვიძლია ხელაღებით უარვჰყოთ ყოველი ტრადიცია რომელიც ჩვენს წარსულთან გვაკავშირებს; და რადგან სამწერლო ეროვნული ენა ერთი იმ ელემენტთაგანია, რომელიც ერის აწმყოსა და წარსულს ერთმანეთთან აკავშირებს ამიტომ უნდა ვეცადოთ, რამდენადაც კი შესაძლოა, ძველსა და ახალ სალიტერატურო ქართულთა შორის კავშირი დაცულ იქნას. ამიტომ: ა) **როცა ზემოდასახელებულ ორ ძირითად კილოკავში კიდევ ცოცხალია რომელიმე ძველი ფორმა, რომელსაც სალიტერატურო ტრადიციაც მუდამ მხარს უჭერდა და უჭერს, მწერლობაში უპირატესობა ამ ძველ ცოცხალ ფორმას უნდა მიეცეს მისი საბადლო ახალი ფორმის წინაშე რაგინდ ეს უკანასკნელი დიდად გავრცელებულიც იყოს**; მაგალითად, როგორც მოგეხსენებათ, მიმართულებითი ბრუნვის დაბოლოება დღევანდელს ცოცხალ კილოკავებში ორი სახით ცოცხლობს: **დ** და **თ** (კაცად და კაცათ); ამათგან პირველი დაბოლოება იმავე დროს ძველიცაა თუმცა ისე გავრცელებული აღარაა როგორც მეორე (**თ**); მაგრამ მწერლობაში უპირატესობა პირველს უნდა მიეცეს, მით უმეტეს რომ სალიტერატურო ტრადიციაც მის მხარეზეა; ამავე საფუძვლის ძალით უნდა ვსწეროთ: ორად, ჩემად, კარგად, ბრძნულად, საწერად, სათამაშოდ და არა: ორათ, ჩემათ, კარგათ, ბრძნულათ, საწერათ, სათამაშოთ და სხვანი. ბ) **მაგრამ თუ რომელსამე ძველ ცოცხალ ფორმას სალიტერატურო ტრადიცია დიდიხანია მხარს აღარ უჭერს ან უკეთუ ძველი ფორმა ძირითად კილოკავებში ცოცხალი აღარაა და მის საბადლოდ ორი ან მეტი ფორმა მოიპოვება მაშინ მწერლობაში უპირატესობა უნდა მივსცეთ იმ ცოცხალ ფორმას რომელიც გენეტივურად უფრო ახლოა ძველ მკვდარ ფორმასთან.** მაგალითად, ქვემო იმერულსა და გურულში დღესაც ცოცხალია უძველესი სწორი სრული ფორმა „მოსულარიან“ (=მოსულან); მაგრამ მწერლობიდან და ქართლ-კახურ და ზემოიმერულ კილოკავებიდან ეს ძველი ფორმა დიდიხანია გაძევებულია და მისი ადგილი ახალ ცოცხალ შემოკლებულ ფორმას დაუჭერია: „მოსულან“; ცხადია, მაშასადამე, რომ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში იმ ძველ ფორმას ვეღარ გავაბატონებთ და გამარჯვება ამ ახალ ფორმას დარჩება რომელსაც მხარს უჭერს როგორც ევოლუციონური პრინციპი ისე ხანგრძლივი სალიტერატურო ტრადიცია; ამავე საფუძვლის ძალით დღეს მწერლობაში ვეღარ აღვადგენთ სახელობითს ბრუნვაში ხმოვანი ფუძის შემდეგ დაბოლოებას ჲ-ეს, რომელიც აქა-იქ დღესაც ისმის პროვინციალურ გამოთქმაში (დედაჲ, მამაჲ, სიტყვაჲ, წერა-კითხვაჲ) მაგრამ მწერლობიდან დიდიხანია გაძევებულია. ამავე პრინციპის ძალით ორი ცოცხალი ფორმიდან: „ქუთაისი“ და „ქუთეისი“, რომელნიც დღევანდელი ქართველის გამოთქმაში ისმის, უპირატესობა მწერლობაში მიცემული აქვს ფორმას „ქუთაისი“ რადგან იგი გენეტიურად უფრო ახლოა ძველ მკვდარ ფორმასთან „ქუთათისი“; ანალოგიურადვე ორი ცოცხალი ფორმიდან: „თფილისი“ და „თბილისი“, რომელნიც ორ ძირითად კილოკავში გვხვდება ნაცვლად ძველის მკვდარი ფორმისა („ტფილისი“), უპირატესობა მწერლობაში უნდა ვარგუნოთ ფორმას „თფილისი“ რადგან გენეტიურად ეს ფორმა უფრო ახლო დგას უძველეს პროტოტიპთან „ტფილისი“: უეჭველია—ამ უკანასკნელისაგან ჯერ უნდა წარმომდგარიყო (რეგრესიული ასიმილაციის ძალით) ფორმა „თფილისი“ რომ შემდეგ ამ უკანასკნელში მომხდარიყო დისიმილაცია: „თბილისი“.

6. **მორფოლოგიური პრინციპი.** მაგრამ როცა მარტო ისტორიულ-გენეტიური პრინციპით ძნელია ან სრულიად შეუძლებელია სადავო საორთოგრაფიო საკითხის გადაწყვეტა მაშინ ისტორიულ პრინციპს გვერდში უნდა მოვუყენოთ მისი შემცველი უფრო ფართო მორფოლოგიური პრინციპი და სადავო **ცოცხალ ფორმათა შორის მწერლობაში უპირატესობა უნდა მივსცეთ იმ ფორმას რომელშიაც უფრო სისწორით დაცულია სამორფოლოგიო ელემენტების (თავსართი, ძირი, ჩასართი და დაბოლოება) პირველსახეობა და ერთსახეობა, ე. ი. მორფოლოგიურად სწორ ფორმებს დიალექტიურ-ფონეტიკური ფორმების წინაშე.** მაგალითად ძველ მწერლობაში ჩვენ გვხვდება რწყილ-რწყილი ფორმები: გვერდსა და გვერცა, ღმერთს და ღმერც, უდგს და უთქს; თანამედროვე ქართულ გამოთქმაშიაც ასეთი რწყილსახეობა ფორმებისა იშვიათი მოვლენა არაა; ცხადია მაშასადამე რომ ასეთს შემთხვევაში მარტო ისტორიული პრინციპით ვერას გავხდებით თუ მას მორფოლოგიური პრინციპიც არ მივაშველეთ. ამ უკანასკნელის ძალით კი უპირატესობა დარჩება ფორმებს: ღმერთს, გვერდსა, უდგს (=უდგას) რადგან სამორფოლოგიო ელემენტები ამ ფორმებში თვისი პირვანდელი სისწორითაა დაცული მაშინ როცა ფორმები: გვერცა, ღმერც, უთქს საოცრად ამახინჯებენ როგორც ამ სიტყვების ძირებს ისე დაბოლოებას. სწორედ ამ პრინციპს მისდევს თანამედროვე ქართველი როდესაც სამი ცოცხალი ფორმიდან: წამოიღო, წამაიღო და წამეიღო მწერლობაში უპირატესობას უთმობს პირველს, აგრეთვე ფორმებიდან: წაუღო, წოუღო (იმერ.) და წუუღო (გურ.) უპირატესობას აძლევს ფორმას „წაუღო“. საჭიროა—ეს პრინციპი ყველა დანარჩენ შემთხვევაშიაც სასტიკის თანდათანობით იქნეს დაცული და გატარებული. **მორფოლოგიურად სწორ ფორმებს ისეთის პატივისცემით უნდა ეპყრობოდეთ რომ, უკეთუ რომელსამე ცოცხალ ფორმაში თავს იჩენს სიტყვის ფუძის ან ფლექსიის რომელიმე ბგერა, ეს ბგერა ამ ფორმაში დაწერითაც უნდა დაიწეროს თუნდაც იმავე სიტყვის მონათესავე ფორმებში და სხვა კილოში აღარც კი ისმოდეს.** მაგალითად, ორი ცოცხალი ფორმიდან: „გავუკეთე“ და „გაუკეთე“ (მე მას) მწერლობაში უპირატესობა პირველს უნდა ვარგუნოთ, აგრეთვე ფორმებში: „გიყვირისთ“ და „გიყვირით“ (ის თქვენ) უპირატესობა პირველს უნდა მიეცეს რადგან იქ კარგად დაცულია სამორფოლოგიო ელემენტები („ვ“ და „ს“), მათს საბადლო ფორმებში კი („გაუკეთე“, „გიყვირით“) ეს ელემენტები უკვე დაკარგულია. მაგრამ, **უკეთუ მორფოლოგიურად სწორი და სრული ფორმა აღარც ერთს ძირითადს კილოკავში ცოცხალი აღარაა და მისი ადგილი აქ მის საბადლო ფონეტიკურ ფორმებს დაუჭერია, მაშინ უპირატესობა მწერლობაში იმ ცოცხალ ფორმას უნდა მიეცეს, რომელიც გენეტიურად უფრო ახლო დგას მორფოლოგიურად სწორ მკვდარ ფორმასთან.** ამ საფუძვლის ძალით (და აგრეთვე ისტორიულ-გენეტიური პრინციპის ძალით) ფორმებიდან: რათა და რადა,*) ზემოთ და ზემოდ, ქვემოთ და ქვემოდ, აქეთ და აქედ, თამაშობდენ და თამაშობდნენ, უჭვრეტდენ და უჭვრეტდნენ, რომელნიც თანამედროვე გამოთქმასა და მწერლობაში გვხვდება, უპირატესობა უნდა მიცეს ფორმებს: რათა, ზემოთ, ქვემოთ, აქეთ, თამაშობდენ, უჭვრეტდენ, რადგან ამ ფორმების ძველი მორფოლოგიური პროტოტიპი იყო: რაჲთა, ზემოჲთ, ქვემოჲთ, აქაჲთ, თამაშობდეს, უჭვრეტდეს. მზგავსადვე უნდა ვსწეროთ: მუშაობდენ, აშენებდენ, აწყობდენ, იწყებდენ და სხვანი და არა: მუშაობდნენ, აშენებდნენ, აწყობდნენ, იწყებდნენ და სხვანი. მაგრამ სიტყვები: „მოვიდნენ“, „იყვნენ“ ორ-ორი „ნ“-არით უნდა დაიწეროს რადგან ამ სიტყვებში პირველი „ნ“-არი ფუძისაა და არა დაბოლოებისა (პირველში, ჩვენის ფიქრით, ფუძეა „დენ“=„დნ“, მეორეში „ყვნ“=„ყოფნ“,**) თუმცა იმავე სიტყვების სხვა ფორმებში ეს ფუძის „ნ“-არი აღარა გვხვდება: მოვედით, ვიყავით და სხვანი.

(დასასრული იქნება)

ს. გორგაძე.

---

*) მკითხველისთვის ალბად ცხადი უნდა იყოს რომ აქ ლაპარაკი გვაქვს ენის **ფორმებზე** და არა **ლექსიკონზე, სიტყვებზე** (ტერმინებზე), რომელთაც ჩვენი სალიტერატურო ენა მუდამ ყველა კილოკავიდან და მონათესავე ენიდან იღებდა და შემდეგშიაც ასე იქნება. თუ კი უცხო ენებიდან ვიღებთ ტერმინებს როცა საჭიროა, განა ულოღიკობა არ იქნებოდა მონათესავე ენებიდან და კილოკავებიდან არ ამოგვეღო იგინი?!

*) იგულისხმება კავშირი (რათა) და არა ნაცვალსახელი „რად“ (მიმართულებითის ბრუნვისა).

**) აზრი იმის შესახებ, რომ „ყვნ“ ფორმაში „იყვნენ“ ძირია, ეკუთვნის ბ-ნს ვუკოლ ბერიძეს, რომელმაც იგი ერთ კერძო წერილში გაგვიზიარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლს ვიდრეკ ამ ღვაწლის წინაშე.

მაგრამ ამასთანავე უნდა ვსთქვა, რომ ბ. ლიოზენმა ვერ დასძლია ჩვენი ენის თავისებურებანი და ბრძანა: ქართულ ზმნაში იმისთანა სიმრავლეა ფორმებისა, იმისთანა ქაოსი, რომ... მე ჩემებურად დავამთავრებ: უცხოელი მკვლევარი ბევრი ვეღარ გაბედავს ამ ქაოსთან შებრძოლებას.

მე კი მგონია, რომ ქართულ ზმნაში არც რაიმე სიმრავლეა ფორმებისა და არც არავითარი ქაოსი.

ქართულ ზმნას. მარტივს, უთანდებულოს სულ ექვსი დრო აქვს.

ბ. ლიოზენი ბრძანებს—ათიო.

ქართულ ზმნას, დამატებიანს, ევროპიულ ზმნის სამი ფორმის

— ვ-წირავ, ს-წირავ, ს-წირავს— გარდა ოთხი ფორმა კიდევ სხვა აქვს და ამიტომ ჩვენი მოქმედებითი ზმნის მიმოხრა ასე უნდა იყოს დალაგებული:

პირი I—მე შენ გ-წირავ, მე იმასა ვ-წირავ.

II—შენ მე მ-წირავ, შენ იმასა ს-წირავ.

III—ის მე მ-წირავს, ის შენ გ-წირავს, ის იმასა ს-წირავს.

ქვემდებარე და დამატება არ იხმარება, რადგან ერთიცა და მეორეც შიგ ზმნაშივე არის ჩართული, და რჩება ასეთი მიმოხრა:

პირი I—გ-წირავ, ვ-წირავ.
II—მ-წირავ, ს-წირავ.
III—მ-წირავს, გ-წირავს, ს-წირავს,

აქედგან მე გამომყავს დასკვნა: აქ ერთი ზმნაა, წირვა, და არა ორი, როგორც ბ. ლიოზენსა ჰგონია: ქართული ზმნა ორ რიგად განიყოფებაო, ბრძანებს, ერთი იწყობა ასოთი ვ (ვ-წირავ, ს-წირავ. ს-წირავს) და მეორე ასოთი მ (მ-წირავს, გ-წირავს, ს-წირავს)-ო.

ეს გახლავთ საკამათო საგანი: 1) ექვსი დრო აქვს ქ. მარტივ ზმნას, თუ ათი? 2) ერთი და იგივე ზმნაა „ვ-ხატავ, მ-ხატავ“, თუ ორი სხვა და სხვა რიგისა? და აქედგან 3) ზმნაში „მხატავს“ ვინ არის მომქმედი პირი: სახელობითი-ის, თუ, როგორც მრავალნი ამტკიცებენ, მიცემითი მე? სიტყვაში „მწამს“ ქვემდებარე არის მიცემითი „მე“ და ღმერთი—დამატებაა, თუ, ჩემი აზრისამებრ, ქვემდებარე არის სახელობითი—ღმერთი და „მე“—მიცემითი მხოლოდ დამატებაა?

ბ. რები მიბრძანებს, ეგ დამატებანი ფრანგულმაც იცის და ბ. ლიოზენს ტყუილად უსაყვედურებ მაგის გაუგებრობასაო.

ვიცი, რომ ფრანგულმაც იცის, და სწორედ ამიტომ არ უნდა გავყოთ ერთი და იგივე ზმნა ორ რიგად. ფრანგული მაგალითი ვსინჯოთ:

je me blesse   il me blesse
je te „   il te „
je le „   il le „

დამეთანხმებით, რომ აქ ერთად ერთი ზმნაა და არა სამი, რომელთაგან პირველი იწყება ასოთი j, მეორე—ასოთი t, და მესამე—ასოთი i.

და თუ მეთანხმებით, რატომ ქართული ზმნის შესახებ კი არ უნდა დამეთანხმოთ, რომ „ვ-სინჯავ“, „მ-სინჯავ“ ერთი და იგივე ზმნის „სინჯვა“ მიმოხვრის სხვა და სხვა პირია, სხვა და სხვა დამატებით და არა ორი განსაკუთრებული კლასი ზმნისა.

საკამათო საგანი ფრიად მნიშვნელოვანია, რადგან ეს ორი დებულებაც უკვე საკმარისად ასუსტებს იმ ქაოსს, რომელიც სრულიად უსაფუძვლოდ შესწამეს ქართულ ზმნას.

ბ. რები მისაყვედურებს, ბ. ლიოზენს არ დაუფასე ახსნა და განმარტება ნაწილაკებისა ვ, გ და სხ. (ვ-წერ, გ-წერ...)

ეს ნაწილაკები ახსნილი გახლდათ უკვე 1907 წ. (იხ. „ნაკადული“ № Ш) და ვიმეორებ, მე ქაოსის გაფანტვას ვცდილობ და, თუ ეს მოვახერხე, დარწმუნებული ვარ, თითონ ბ. ლიოზენიც არ დამემდურება, ნაკლულევანებასთან ერთად რატომ ღირსებანიც არ მოიხსენიეო.

ივ. მაჭავარიანი.

სვანეთის მოთქმა

ბევრჯელ დაწერილა სვანეთის შესახებ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში „რამე-რუმეები“, მაგრამ ყოველივე ისევ „რამე-რუმეებად“ დარჩა. არავინ ხმაც კი არ ამოიღო მის საშველად, რაიც მომაკვდინებელ ისტორიულ ცოდვას შეადგენს მთელ დღევანდელ ქართველ ერისათვის. წარმოიდგინეთ, დღეს არამც თუ საქართველოში, არამედ მთელ რუსეთის იმპერიაშიც კი, არ უნდა იყოს ისეთი ჩამოქვეითებული მხარე, როგორც სვანეთი. ეს მხარე გაშენებულა ან უკეთ ვსთქვათ, ჩაკეტილა კავკასიონის ქედის უმაღლეს შტოებში. ეს საუკუნოების განმავლობაში საუკეთესო სიმაგრეთ ითვლება საქართველოს წარმტაც ქვეყნისა. აქაური ხალხი წარმომადგენელი იყო ჩვენ სახელოვან მთიულებისა. მაგრამ საუბედუროთ დღეს იგი მხოლოთ ნანგრევთა ნანგრევები ღა შექმნილა წარსულ დროთა და წარსულ სვანეთისა. დღეს იგი მოსპობის და განადგურების გზას დადგომია. დღეს იგი განიცდის საშინელს წუთებს ყოველის მხრით. უპირველესად იგი შექმნილია მსხვერპლი, საშინელ სილატაკისა, ეკონომიურად უმაღლეს ხარისხამდე დაქვეითებისა, შემდეგ უსწავლელობის, შეუგნებლობის და უმთავრესად კი „მოსე მწერლების“ და მათ ამქარწარმომადგენლებისა. ძნელათ მოიპოვება მოსახლე, რომ წლის სარჩო მოუვიდეს სვანეთში, ამიტომ სვანი ზამთრობით, უმთავრეს დროს ატარებს საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში სამუშევრათ. ყველგან აუტანელია მისი ცხოვრება, ათასი ხეტიალის დროს სხვა და სხვა შემთხვევების მსხვერპლი ხდება ხოლმე საცოდავი სვანი. გზა იმას არ აქვს, კვალი და სარჩო საბადებელი. სახლშია და „მოსე მწერლები“ უხუთავენ სულს თუ რამე დასჭირდა იმათთაგან.

წელიწადი არ გავა ისე, რომ რაიმე სენი არ გაჩნდეს, რომელიც საშინლად ანადგურებს ხალხს. მაგალითად: ეხლა სვანეთში „ყელ-ჭირებაა“, რომელსაც უმსხვერპლია მრავალი ნორჩ თაობიდან ეს სენი იმდენად არის გამძვინვარებული მთელ სვანეთში, რომ ხალხი სოფლებიდან აყრას ლამობს. აგრეთვე სენი იყო შარშან, შარშან წინ და თითქმის ყოველწლივ ორჯელ-სამჯერაც კი, მაგრამ ვინ არის პატრონი? ვინ არის მშველელი? ვინ არის საცოდავ სვანთა გამკითხავი? მთელ სვანეთში ერთი ფერშლის გარდა ექიმი არ არის და რა ქნას ერთმა, რა შეუძლიან? და კიდეც რომ შეეძლოს მაინც რას გააკეთებს? ყველამ ვიცით ჩვენი დალოცვილ მოხელეების ამბავი, თუ რა კეთილი და მშრომელი ხალხია.

ამ ზაფხულში გაიწვიეს ჯარისკაცები, რომელთაგანაც რამოდენიმეს დააგვიანდა სხვა და სხვა შემთხვევების გამო დროზე გამოცხადება დანიშნულ ადგილზე. ამის მიზეზი უმთავრესად ეს იყო, რომ ბევრი მათგანი გლახა მდგომარეობაში ხედავდა ცოლ-შვილს და მშობლებს, ბევრს რამოდენიმე უსუსური ბალღი რჩებოდა ულუკმაპუროდ, ბევრ ოჯახიდან სამი ოთხი ძმა იყვენ წასული ბრძოლის ველზე და მათი ცოლშვილი და მშობლები მხოლოდ უკანასკნელ ძმაზე იყო დაიმედებული. ხედავდენ იგინი თუ რა საშინელ მდგომარეობაში სტოვებდენ ოჯახს და უნდოდათ სასტიკ ზამთრის შესახვედრათ მაინც მოემზადებიათ, რომ ბრძოლის ველზე უნუგეშოთ დატოვებული ოჯახი არ მოლანდებოდათ. ზოგიც სხვაგან იყო წასული სამუშავრათ და დანიშნულ დროს ვერ მოასწრო ალაგზე გამოცხადება. ჯარისკაცათ წასვლის წინააღმდეგი მაინც ძვირათ მოიპოვებოდა ამათგან, მხოლოდ ეს იყო, რომ ამ ზემოხსენებულ მიზეზებმა დააბრკოლა იგინი. აგრეთვე არ შეგვიძლია რომ ამ შემთხვევის მიზეზათ თვით სვანეთის მთავრობა არ დავასახელოთ, რამოდენათმე მაინც, რომელმაც თვითვე ჩაადენია სვანებს ეგ თავის საკუთარ წარმატებისთვის, რასაკვირველია ეს იმათთვის ადვილი მოსახერხებელი იყო უვიც უსწავლელ სვანებთან. და ბოლოს კი უმაღლეს მთავრობის წინ სვანები მოღალატის სახელით შეიქნენ მონათლულნი, რაიც გამოურკვეველიც და თან უსაფუძლოცაა. თუ მათ არ სურდათ მთავრობის წინ გამოცხადება და თუ მათ გულში ღალატი ჰქონდათ დარწმუნებული იყავით, რომ ათი თუთხმეტი ჩაფარი 100—200 სვანს ადგილიდან ვერ დაძრავდა, მაგრამ სად არს უფალო სიმართლე, როს დედამიწა უსამართლობას და სიმრუდეს შთაუნთქავს.

დღეს წარმოიდგინეთ, თავის მოძმეთა დაცემით განებივრებულ ერთ „მოსე მწერალს“ ანუ სვანეთის ყოფილ „მწყემსს“, მთავრობისაგან ერთგულობისთვის“ დაჯილდოებულს შეუკრეფია ოცდა ხუთი ცხენოსანი სვანი და ძველი ბატონური ცხოვრების სისტემა აღუდგენია. მთელ სვანეთში დადის ამ ოცდახუთი ცხენოსან კაცით, ერთ ღამეს ერთს „აბედნიერებს“ თავის მობძანებით ხოლო მეორე ღამეს მეორე ოჯახს. წარმოიდგენთ რა საშინელება იქნება ეს ისეც დაცემულ მოსახლისათვის. ამ „პატივცემულ“ სტუმრებს ხომ გულუხვად უნდა გაუმასპინძლდეს დამხდური. უთუოთ სვანურ ჩვეულებისამებრ ძროხა უნდა დაკლას ან ხარი და ან სხვა რამე, შემდეგ ამ 25 სტუმრის გარდა უნდა მოიპატიჟოს რამოდენიმე მეზობელი მაინც და ერთი მიბძანეთ რამდენი ხარჯი დასჭირდებათ ეხლა ამ ხალხს? ეჰ, სად ხარ ადამიანის სინდისის ხმავ! ნუ თუ ეგრე გაჰქრი, რომ არც კი აგონდები ვინმეს?! ამ ურცხვ „რაინდს“ ის არ მიაჩნია საკმარისათ, რომ ეგრე ავიწროებს თავის მშობელ ქვეყანას და წარმოიდგინეთ თქვენ, გარყვნილების ტბაშიც აგდებს, ლეჩაქსაც ხდის. მედიდურ სვანეთს. სტუმრათ ისე არ შებძანდება თურმე რომ ორი სამი მშვენიერი ქალი არ მოუყვანონ ამ „რაინდს“ და თან დაჰყავს თურმე მასხარები რომლებიც მოწყენის დროს ართობენ ბატონს. ადამიანის ზნე და ცემულობაა და ფეხ ქვეშ გათელა სინიდის ნამუსისა...

მოსთქვამს, ღრიალებს დღეს ამას ყოველივეს საცოდავის ხმით სვანეთი, მოსთქვამს ის, რომ დიდ ბუნებროვანი სახე, „მოსე მწერალთა“ დასაყივარად გადასცა, და მოთქმა მისი ზვიადდება, ორკეცდება, მხოლოდ გამგონი კი არავინ არის.

ეს ჩემგან ნათქვამი მხოლოდ გახსენებაა სვანეთს გაჭირვების, მათ უნუგეშო მდგომარეობის მე კი არა და ვგონებ რამოდენიმე ტრაგიკოსი, შექსპირიც ვერ აღწერს.

ვავალებ ქართველ საზოგადოებას მათ პატრონობას და ყურადღების მიქცევას, ვინაიდგან ეგ დავალება ზნეობრივის მხრით კანონიერია ჩვენთვის, ყველა ქართველთათვის.

ამბ. პირველი.

პროვინციის ქრონიკა

სადგ. ყარაიაზი

29 გიორგობისთვეს აქ ცეცხლი გაუჩნდა ქართველთა ამხანაგობის თივის საწყობს. ცეცხლის დროს ძლიერი ქარი ქროდა, რამაც ხელი შეუწყო სათივეს სრულიად გადაწვას. ზარალი 15 ათას მანეთამდეა.

ბაქო

ქალაქის მოურავი ბ-ნი ბიჩი ამ დღეებში მოსკოვს გაემგზავრება, ბაქოსთვის სესხის საქმის მოსაგვარებლად. სესხი ამჟამად ბაქოს ეჭირვება უმთავრესად შოლარის წყალსადენის დასამთავრებლად.

ქუთაისი

5 ქრისტეშობისთვეს ქუთაისში დანიშნულია ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების კრება.

ქალაქის თეატრში გამართულ კ. ფოცხვერაშვილის სასულიერო კონცერტს 27—29 გიორგობისთვეს ხალხი ბლომად დასწრებია.

სოფ. შემოქმედი

აქ არსებულ მომხმარებელ საზ. „თანხმობამ“ თავის კრებაზე აირჩია 5 კაცისაგან შემდგარი გამგეობა, კრებამ აგრეთვე დაადგინა გაიხსნას ჯვარზე (სოფელია) საწვრილმანო დუქანი და ფურნე. მომხმარებელ ამხანაგობაში ერთობ ხალისით ეწერებიან. ჯერჯერობით სულ 140 წევრად ჩაწერილა.

ოზურგეთი

აქ ქართულ საქველმოქმედო საზოგ. გახსნა გადმოხვეწილთა და ომიანობისაგან დაზარალებულთათვის სარეგისტრაციო პუნკტი, რომლის მიზანია გადმოხვეწილთა და სხვა დამშეულ დაზარალებულთა სიის შედგენა და მათ საჭიროების რაოდენობის გამორკვევა. დახმარების მდომთ უნდა მიჰმართონ ოზურგ. ქალაქ. გამგეობაში გრ. ურატაძეს.

თელავი

თელავ-თიანეთის გზაზე დადის სამი ეტლი, რაიც სავსებით ვერ აკმაყოფილებს მგზავრების მოთხოვნილებას. ამიტომ თელავის მაზრის უფროსმა შუამდგომლობა აღძრა, აიძულონ გზის მოიჯარადრე, ეტლთა რიცხვს კიდევ ერთი მიუმატოს.

ივანდიდი.

თანდათან ფეხს იკიდებს წვრილმანი ქურდობა-მძარცველობა, ღამე არ გაივლის ისე, რომელიმე მოსახლეს სასიმინდე არ გაუტეხონ, ან სხვა რაიმე საქონელი არ მოჰპარონ.

ხონი.

ყველი, კვერცხი და ქათამი ბაზარზე აღარ შემოდის. მეტად ძვირდება ნავთი ასანთი და მარილი. პურიც გირვანქა ხშირად 9 კაპ. ფასობს. ამინდი ცუდია.

ახალ-სენაკი.

ამ მაზრის გადმოხვეწილნი თუ ომისგან დაზარალებულნი დახმარების მისაღებად უნდა ჩაეწერნენ ნატოჩაოს საზ. საკრედიტო ამხანაგობაში, ხოლო ძველ-სენაკისა იქაურ ქართულ სათავად-აზნაურო სკოლის შენობაში. ნაქალაქევში — ნაქალაქევის სკოლაში. აბაშაში—აბაშის სამკითხველოში და სხვა.

გუდაუთი.

გასულ თვეში თავის ბინაზე მოჰკლეს ილარიონ მიქაძე. იგი კარგად ცნობილი იყო გუდაუთელთა შორის.

— ამას წინად სოხუმიდან გუდაუთში მომავალი მოიჯარადრე, რომელსაც მუშებისთვის დასარიგებელი ფული მოჰქონდა ყაჩაღებმა გაძარცვეს, ამის გამო მუშებს ჯერ ნამუშევრის ფული არ მიუღიათ, საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს, ვინაიდან მუშები მეტად ხელმოკლედ არიან?

უცხოეთი

ინგლისი და ინდოეთი

ინგლისურ გაზეთ „Allahamad Pioner“, რომელიც ინდოეთის ქალაქ ალლაგამადში გამოდის, მეტად საგულისხმო წერილებია მოთავსებული პროფესორ სტენლი ჯევონსისა.

ჯევონსის წერილებიდან ირკვევა, რომ ინგლისი ეხლა გულმოდგინედ სცდილობს განაპირა ქვეყნები შეისისხლხორცოს. ამ მიზნის მისაღწევად ინგლისი განაპირა ქვეყნებში ინგლისელთა გაძლიერებას როდი ემყარება. იგი ემყარება იმ შეგნებას, რომ იმპერია უნდა წარმოადგენდეს თანასწორუფლებიან შვილთა ერთს ოჯახს. ასეთი მიმართულება ინგლისს ემჩნევა არა მარტო თეთრკანიანთა მიმართ, არამედ ინდოეთშიაც. ინდოეთში ხომ ერთი რომელიმე ეროვნება არ არის, აქ არის სხვა და სხვა კილოკავით მოლაპარაკე, ნაირ-ნაირ თემებისაგან შემდგარი მრავალ მილიონიანი ხალხი. ეს ხალხი ერთი მეორისაგან განირჩევა არა მარტო მოდგმითა და კულტურით, არამედ ენითა და სარწმუნოებითაც.

პროფესორი ჯევონსი სწერს „ინდოეთი უზომოდ დიდია. ყოველი საადმინისტრაციო „პროვინცია“ აქ, ადგილის მცხოვრებთა რიცხვით, დიდ სახელმწიფოებს სჭარბობს. მაგალითად შუაგულ მდებარე ინდოეთში „აგრა“-სა და „უდ“-ის მდებარე პროვინციებში 55 მილიონი მცხოვრებია. მიერ-ორისსისა, მენგალისა, ასამისა და მურმის პროვინციებში 98 მილიონი მცხოვრებია. ბომბეასა და პენჯამის პროვინციებში თითოში 14 მილიონი მცხოვრებია. ამდენივეა „შუაგულ პროვინციებში“. ამათ გარდა ბევრი პროვინციებია, რომელთა სივრცე ესპანეთს უდრის. მთელს ინდოეთში 316 მილიონი ურიცხვ ენაზე მოლაპარაკე მცხოვრებია.

ამათში მენგალებს და ტამილებს მდიდარი მწერლობაც მოეპოვებათ. ამათი ღვიძლი შვილებია რაბინდრანათ თაგორი, ხაიდუ, ანანა და კუმარვამი, არუნ სენი და სხვანი.

ამ მწერალთა სახელი ევროპაშიაც ცნობილია. ასეთ განვითარებულ ერის გვერდით, ინდოეთში ისეთი პირველყოფილი თემებიც სცხოვრობენ, რომელთა სიტყვიერებაც რამდენიმე ასი სიტყვით განისაზღვრება.

ინდოეთში ინგლისელებს 5 უნივერსიტეტი დაუარსებიათ: კალკუტაში, ბომბეიში, მადრასში, ალლაგამადში და ლაგორეში. თითო უნივერსიტეტში ყოველწლივ 4000 ახალგაზდა ასრულებს სწავლას. ბევრი საშუალო სასწავლებელია დაარსებული და დაბალი სკოლებით ხომ მოფენილია. აქ სწავლა სწარმოებს დედა-ენაზე და ინგლისურათ. ამისი წყალობით ინდოეთში ყოველ საზოგადო თუ სახელმწიფო დაწესებულებაში სულ უმაღლესი განათლებით აღჭურვილი ადგილობრივი მკვიდრნი მსახურებენ. აქ არის აგრედვე მრავალ-რიცხოვანი ინტელიგენცია, ინგლისურ თეორიებით აღზრდილი, თუმცა თავისებური ფსიხოლოგია მაინც შერჩენიათ და ამ მხრივ ევროპიელებისაგან დიდათ განირჩევიან.

ინგლისელებს ინდოეთში 35 ათას ვერსის მანძილზე აქვთ გაყვანილი რკინის გზის ლიანდაგი.

ურიცხვი სარწყავი არხები გაუჭრიათ, რომელთა მეოხებითაც უდაბური ადგილები პენჯაბის და შეერთებულ პროვინციებში, ირწყვება და გულუხვ მოსავალს იძლევა. სინდაში ამ არხის პირად ორი მილიონი მოსახლეობაა. ეს არხები დიდ შემოსავალსაც აძლევს მის გამყვანს. მაგალითად ჩინამის არხის მონაწილეთა დივიდენტი 34 პროცენტს უდრის.

ინგლისელებმა სამრეწველო საქმესაც დიდი ყურადღება მიაქციეს. ბომეიში ისეთივე უზარმაზარი ქარხნებია, როგორც ლანკაშირში. საქსოვ-საბოჭი ქარხნებია ახმედა ბადესა, კაუნპორსა, კალკუტსა და მადრასში. ქალაქი კალკუტა მრეწველობის დედაბუდეა.

ეხლა ეს ქარხნები არსენალებად არის გადაქცეული. ინდოეთში არსებობს 24 ბანკი, 86 ბამბეულის ქარხანა, 97 ქვანახშირის მაღარო, 100 ჩაის პლანტაცია, 39 საქსოვი სამრეწველო, 78 სხვა და სხვა წარმოება, შაქრისა ქაღალდისა, მაუდეულისა და სხვა.

ეხლა ინდოეთის ხალხი მოითხოვს სრულს უფლებებს და ინგლისელებთან სრულ განთავისუფლებას. ისინი ეუბნებიან ინგლისის მთავრობას: „როგორ შეგიძლიანთ არ მოგვანიჭოთ თანასწორი უფლებანი, როდესაც ჩვენ, ჩვენის ნებაყოფლობით ასი ათასობით მოხალისე გავწირეთ საერთო საიმპერიო საქმისათვის და ამითი ნათლად დაგვიმტკიცეთ, რომ იმპერია ჩვენთვისაც იმდენადვე ძვირფასია, როგორც თქვენთვის? ათი-ათასობით მოკლულმა და დაჭრილმა ინდოელმა თავისი სისხლით მოუპოვეს ინდოეთს თვისი უფლებანი“. (რ. ვ.)

დიონეს.

ღია წერილი *)

ამასთანავე ვურდგენ პატივცემულ გაზეთ „საქართველოს“ რედაქციას 20 მან., რომელიც გადმომცა ჩემს განკარგულებაში ბ. მიტ. ლალიძემ აჭარელთა შვილების საშუალო სასწავლებელში აღზრდაში დასახმარებლად და იმედია, რომ ამ ფულებს დანიშნულებისამებრ მოიხმარს და საჭირო გზას მიუჩენს.

პატივისცემით **სილოვან გაბუნია.**

---

*) რედაქციამ მიიღო სილოვან გაბუნიასაგან 20 მანეთი და მიტროფან ლალიძისაგან 20 მან. სულ 40 მ.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ამანათების საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

> An die Kommandatur
> des Kriegsgefangenenlagers
> აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
>
> Liebesgaben für die
> russischen Kriegsgefangenen.
> აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
>
> Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse,
№ 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

> Швейцарія   Заказное
> Suisse. Recommandée
> Comité International de la Rouge.
> Agence des prisonniers de guerre   Genéve.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№	საიდან	დრო
№ 3	ბაქოდან	12 ს. 54 წ. დღ.
№ 4	ბათომიდან	5 ს. 55 წ. საღ.
№ 5	ბაქოდან(სწრ.)	7 ს. 41 წ. საღ.
№ 10	ბათომიდან	9 ს. 51 წ. დილ.
	ჯულფიდან	6 ს. 53 წ. დილ.
	ბორჯომიდან	7 ს. 25 წ. დილ.
	„ საღ.	10 ს. 28 წ. საღ.

თბილისიდან გადის:

№	სად	დრო
№ 3	ბათომისკენ	1 ს. 45 წ. დღ.
№ 4	ბაქოსკენ	7 ს. 3 წ. საღ.
№ 6	ბაქოს(სწრ.)	12 ს. 8 წ. დღ.
№ 9	ბათომისკენ.	8 ს. 53 წ. საღ.
	ჯულფისკენ	10 ს. 23 წ. საღ.
	ბორჯომისკენ	3 ს. 29 წ. დღ.

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.

თბილისიდან გადის:

თელავისა დ წნორისკენ დილ.	8 ს. 58
გურჯაანში მიდის ნაშუადღ.	3 ს. 53 წ.
გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევის	4 ს. 53 წ.
თელავში მიდის ნაშუადღევ.	5 ს. 35 წ.
გურჯაანიდან წნორზე მიდის	4 ს. 18 წ.
წნორზე მიდის	5 ს. 15 წ.

თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისისკენ:

დილის	8 ს. 58 წ.
გურჯაანში მოდის . . .	10 ს. 26 წ.
წნორიდან თბილისისკენ გამოდის დილის. .	10 ს. 16 წ.
გურჯაანში მიდის . . .	10 ს. 16 წ.
გურჯაანიდან თბილისისკენ გამოდის დილის	10 ს. 46 წ.

თბილისში ჩამოდის 5 საათზე.

წიგნის მაღაზია
„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).
ი. დ. კიკნაძისა.
თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა
„განათლება“

ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო“, „თანამედროვე აზრი“, „ეშ. მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“ და იყიდება ახლად გამოცემული წიგნები ა. ბლდონის **„აკაკი და მისი პოეზია“** (რუსულ ენაზე), **„სქესობრივი საკითხი და ბავშვი“** ი. გომართელისა, **„მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები“**—მასლოვისა, **„ცხოვრების სიმღერები“**—ბეგლარ ახოსპირელისა **„კოოპერატივები იტალიაში“**—ნ. ჟორდანიასი და სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.

აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

კანტორის ადრესი: Ольгинская 6.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეძველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. **„ლ. მაილოვის-შვით,** სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა,** მცირე მარილიანი, შავი **„მეშოჩნი“** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

სტამბა „ცხოვრება“ ა. კელენჯერიძისა, გალავნის შესახვევი 4. №